პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კ.

საქ. ა. პ. (ბ) ცენტრალური და თბ. კომიტეტების და ცაკ-ის ორგანო

შაბათი.
26
ოქტომბერი
1935 წ.
№ 249 4405

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

- — სოციალიზმის ოქროს ფონდი (მეთაური).
- — კაზახსტანის მშრომელების წერილი ამხანაგ სტალინს.
- — კაზახსტანის ცაკის საიუბილეო სესია.
- — პარტიული მუშაკის ჰორიზონტის შესახებ („პრავდის“ მეთაური).
- ქ. განზია — ისტორიული თარიღი.
- — გ. ბოგუ[illegible] — ყურადღება მუშათა [illegible]ნის სწავლებას.
- — იტალია - აბისინიის ომი.
- — აბისინიის მთავრობის [illegible]
- — სანქციები იტალიის წინააღმდეგ.
- — იტალიის ჯარების გაგზავნა აღმოსავლეთ აფრიკაში.

სოციალიზმის ოქროს ფონდი

ორთქლის მანქანა — სწერდა მარქსი — თავიდანვე ადამიანის ძალის მოწინააღმდეგე იყო. იგი საშუალებას აძლევდა კაპიტალისტს გაექარწყლებინა მუშების თანდათან მზარდი მოთხოვნასი, რომელნიც კრიზისით ემუქრებოდენ ახალშემოღებულ საფაბრიკო სისტემას. შეიძლებოდა დაწერილიყო იმ გამოგონებათა მთელი ისტორია, 1830 წლიდან დაწყებული, რომელნიც წარმოიშვენ როგორც მხოლოდ ბრძოლის საშუალებანი კაპიტალისა მუშათა ამბოხების წინააღმდეგ“.

კაპიტალისტური გამოგონების ეს დახასიათება, რომელიც მარქსმა ჯერ კიდევ 70 წლის წინათ მოგვცა, დღესაც, იმპერიალიზმის პირობებში, სავსებით ძალაში რჩება და პოულობს უფრო მკაფიო გამოხატულებას.

ლპობადი კაპიტალიზმი ცდილობს საწარმოო ძალთა განვითარების, მეცნიერების, ტექნიკის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. არიან კაპიტალიზმის იდეოლოგები, რომლებიც საშუალო საუკუნეთა „ტექნიკის“ აღდგენას მოითხოვენ. დამახასიათებელია ამერიკელი ჩეიზის განცხადება: „ცუდი როდი იქნებოდა ათი წლის ვადით გამოგვეცხადებინა მორატორიუმი გამოგონებაზე და ყველა გამომგონებელნი მიგვეჩნია ქვეყანის შეშლილებად, რომელთაც სათანადო მოვლა და თვალყურისადევნება ესაჭიროებათ“.

ფაშიზმის ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი ამტკიცებს, ტექნიკა მტერია ადამიანისაო. ლიბერალურ მწერალს ჟორჟ დუამელს შემოაქვს უცვლად გენიოსური წინადადება: გამოგონებათა დაპატენტება ხუთი წლის ვადით აიკრძალოს, ხოლო ჩვენმა სწავლულებმა და გამომგონებლებმა დაისვენონო.

აქედან ჩანს, თუ რა ჩიხშია კაპიტალიზმი მოქცეული.

მუშათა გამოგონებას გასაქანს არ აძლევს კაპიტალიზმი. მუშა კაპიტალისტური მანქანის უბრალო დანამატებაა. იგი მოკლებულია ადამიანური არსებობის პირობებს. შემოქმედებითი აზრის გაქანებას წარმოების პროცესში. თანამედროვე კაპიტალიზმი ავითარებს სამხედრო ტექნიკას და გზას ფართოდ უხსნის მხოლოდ ადამიანთა გასაჟლეტ იარაღ-მანქანების გამომგონებლობას.

სულ სხვა სურათია ჩვენში, სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში.

საბჭოთა მუშას სოციალისტური საწარმო საკუთარ მშობლიურ საქმედ მიაჩნია. მას შეგნებული აქვს, რომ ჩვენი ტექნიკა სრულებით არ წარმოადგენს ექსპლოატაციის იარაღს, სრულებით არ არის ის ზღაპრული ვამპირი, რომელიც ადამიანს სისხლსა სწოვს და ამით იკვებება.

ჩვენს მუშას უყვარს საბჭოთა მანქანა, სოციალისტური საწარმო და მშობლიურად ზრუნავს მისთვის. ის მუდმივ ცდილობს საბჭოთა მანქანის მუდმივ სრულქმნას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა შემუშავება - გატარებას. მან იცის, რომ საბჭოთა საწარმოო საშუალებანი, კერძოდ — ტექნიკა წარმოადგენს ადამიანის შრომის შემსუბუქების, გაადვილების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდის მკვეთრ იარაღს.

სოციალისტური წარმოების მუშას, საკოლმეურნეო მინდვრის დამკვრელს გააჩნია მძლავრი შინაგანი იმპულსი იმისა, რომ სოციალისტური შრომის პროცესი გაუწყვეტლივ გაუმჯობესდეს. სოციალიზმის მშენებლობის გმირებიც იბრძვიან სოციალისტურ საწარმოო ძალთა სწრაფად განვითარებისათვის.

მუშათა გამომგონებლობას ჩვენში გახსნილი აქვს ფართო გზა, განუსაზღვრელი ასპარეზი. მუშათა გამომგონებლობა წარმოადგენს სოციალიზმის ოქროს ფონდს. ამ ფონდს უვლიან პარტია, ხელისუფლება, სოციალიზმის ყველა აქტიური მშენებელი.

ყოველი გამოგონება ჩვენში ემსახურება სოციალისტური შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ადამიანის ძალღონის დაზოგვას, საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას.

ამიტომაც არის, რომ ჩვენში გამომგონებლობა წარმოადგენს ღირსების, სახელის და საყოველთაო პატივისცემის საქმეს.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1930 წლის 26 ოქტომბრის ისტორიულმა დადგენილებამ მისცა დიდესი გაქანება მასობრივ გამომგონებლობას. დღითიდღე იზრდება გამომგონებელთა არმია და ორდენოსანი საქართველოც ამ დადგენილების ხუთი წლისთავს მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდება.

1931 წელს გამომგონებელთა საზოგადოების წევრთა რიცხვი თუ უდრიდა 557-ს მუშების წინადადებათა რიცხვი კი — 252-ს და ყველაფერი ეს იძლეოდა 931 ათასი მანეთის პირობით ეკონომიას. 1935 წელს გამომგონებელთა საზოგადოება (უსრული ცნობებით) ითვლის 8031 წევრს და რაციონალიზატორულ წინადადებათა 8546 ავტორს. ამ გამომგონებლობამ 1935 წლის პირველ ივლისისათვის მოგვცა 4,234 ათასი მანეთის ფაქტიური ეკონომია.

ჩვენ გვყავს უდიდესი მნიშვნელობის გამომგონებლები, როგორიცაა ნოსირელი ჯემს უატტი გრიგოლ ბარკალაია, ახალგაზრდა ინჟინერი — ჩვენი ედისონი მელია, ჯუღელის ფერო-მარგანეცის ქარხნის ახალგაზრდა ხელოსანი სივაკი, აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მექანიკოსი გიორგობიანი, პროფ. დიდებულიძე და მთელი რიგი საბჭოთა ტექნიკის სხვა შემოქმედნი.

გამომგონებლობა დღითიდღე იზრდება და ვითარდება, მაგრამ მთელ რიგ სათანადო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ მკრთალად დგას ცოცხალი ადამიანი —საბჭოთა გამომგონებელი. მავნებლები და ბიუროკრატები აჭიანურებენ ძვირფას გამოგონებათა ცხოვრებაში გატარებას. მათ წინააღმდეგ უნდა დავატრიალოთ ცეცხლის ქარიშხალი!

გამოგონება სოციალიზმის ოქროს ფონდია. თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ და მშობლიურად მოუაროთ მას!

ფეროვიგანტი იმუშავებს უდოტაციოდ

ჯუღელი, 20 ოქტომბერი. („კომუნისტის“ საკ. კორ.) „კომუნისტის“ 9 ოქტომბრის მოწინავე წერილის „პირველი გამარჯვების“ დამუშავებამ და გარჩევამ, რომელიც ფერომარგანეცის ქარხნის ყველა საამქროებში მიმდინარეობს, გააძლიერა მუშათა ენთუზიაზმი ფერომარგანეცის გამოდნობის გეგმის შესასრულებლად. მიუხედავად ელექტროდების ნაკლებობისა, ღუმელები გეგმებს აჭარბებენ. 17 ოქტომბერს პირველმა ღუმელმა გამოადნო 35 ტონა ფერომარგანეცი — გეგმის 102,1 პროცენტი, 18 ოქტომბერს 35 ტონა—გეგმის 108,4 პროც., 19 ოქტომბერს 45 ტონა, გეგმის 135 პროცენტი.

მეორე ღუმელი 16 ოქტომბრიდან გადავიდა ახალი ძვირფასი შენადნობის ფეროსილიციუმის (კომპლექსური შენადნობი თეროსილიციუმისა და ფერომარგანეცისა) გამოდნობაზე. ღუმელმა სამი დღის განმავლობაში მოგვცა 80 ტონა სილიკომარგანეცი, შენადნობი საუკეთესო ხარისხისა.

□ □ □

დაიწყო მანდარინის კრეფა

ბათუმი, 25 ოქტომბერი (საკ. კორ). აჭარისტანის მიწსახკომის მეორე საბჭოთა მეურნეობამ დაიწყო მანდარინის შერჩევითი კრეფა.

მეურნეობამ 25 ოქტომბრამდე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 130.000 ცალი საუკეთესო ხარისხის მანდარინი.

მანდარინის მასობრივი კრეფა 30 ოქტომბრიდან დაიწყება. საბჭოთა მეურნეობამ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 7.500.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ტ. ასანელი
ჯ. შამილაძე

□ □ □

კაზახსტანის ცაკის საიუბილეო სესია

ალმა-ატა, 24 ოქტომბერი. დღეს საღამოს კულტურის სახლის ახლადაგებულ ვეებერთელა შენობაში ზეიმით გაიხსნა კაზახსტანის ცაკის საიუბილეო სესია დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად—კაზახსტანის მეორე ყრილობის დელეგატებთან ერთად. მქუხარე ხანგრძლივი ტაშით და „ვაშას“ ძახილით შეხვდა ათასხუთასი დელეგატი ამხანაგ მ. ი. კალინინის, ამხ. მირზოიანის, კულუმბეტოვის და ისაევის დარბაზში გამოჩენას. ისმის ხმები: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს—ამხანაგ სტალინს!“ „გაუმარჯოს საკავშირო ცაკის თავმჯდომარეს ამხანაგ კალინინს!“.

კაზახსტანის რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კულუმბეტოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა 15 წლის მანძილზე კაზახსტანის სამეურნეო და ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის უდიდესი ზრდა. ამხ. კულუმბეტოვმა შეაჯამა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებათა შედეგები და კაზახთა ხალხის სახელით სალამი გადასცა და ხელი ჩამოართვა სტალინის ერთგულ თანამებრძოლს მიხეილ ივანესძე კალინინს. საკავშირო ცაკის თავმჯდომარესთან მიდიან და ხელს ართმევენ რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები—დამკვრელი კოლმეურნენი. დარბაზში შემოდიან პიონერთა კოლონები დროშებითა და ყვავილებით. ბავშვთა ჯგუფი ტრიბუნაზე ადის და ყვავილების თაიგულებს უძღვნის მიხეილ ივანესძეს და ამხ. მირზოიანს.

— ჩვენ მოვედით იმისათვის, რომ მხურვალე სალამი გადავცეთ მიხეილ ივანესძე კალინინს,—ამბობენ პიონერები,—მოვედით იმისათვის, რომ ვუძღვნათ ამ ყვავილებით უმწიკვლო მადლობა ჩვენს საყვარელ ამხანაგ სტალინს. ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი სკოლა, სიხარული და ყვავილებია.

საკავშირო ცაკის თავმჯდომარე იღიმება და პასუხს აძლევს მისალმებაზე.

ტრიბუნაზე ადის უკრაინის ს.ს.რ. წარმომადგენელი ამხ. კუზნეცოვი. იგი მიესალმება სესიას უკრაინის მშრომელთა სახელით და გადასცემს ამხ-ბის კოსიორის, პოსტიშევის და პეტროვსკის მილოცვებს. შემდეგ გამოდიან უზბეკისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ახუნ ბაბაევი, ყირგიზეთის ა.ს.რ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ურაზბეკოვი. შუააზიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. ველიკანოვი.

სესია მქუხარე ტაშით ღებულობს მისალმებას ამხ. სტალინისადმი კაზახურ, რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ და ყირგიზულ ენებზე.

დარბაზში კვლავ გაისმის აღტაცებული ხმები საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის—ამხანაგი სტალინის პატივსაცემად.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვი მოსკოვს დაბრუნდა

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი მოსკოვს დაბრუნდა ჟენევიდან. (ტას).

კაზახსტანის მშრომელების წერილი ამხანაგ სტალინს



ჩვენო ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

15 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიის მეათე ყრილობაზე შენ ამბობდი: „...ძველმა სახელმწიფომ,—მემამულეებმა და კაპიტალისტებმა მემკვიდრეობად დაგვიტოვეს ისეთი დაბეჩავებული ხალხები, როგორიც არიან ყირგიზები ჩეჩნები, ოსები, რომელთა მიწები ემსახურებოდა რუსეთის კაზაკურ და კულაკურ ელემენტთა კოლონიზაციას. ეს ხალხნი განწირულნი იყვნენ განუზომელ ტანჯვა-საწამებლად და გადასაშენებლად. ახლა კი რომ მიმოიხედო ირგვლივ,— ამ წარსული მემკვიდრეობისგან არაფრისთანა არაფერი არ დარჩენილა კაზახსტანში.

წელში გაიმართა კაზახთა ხალხი თავისუფალ საბჭოთა ქვეყანაში! ხალხის მეხსიერებაში ღრმად დარჩა წინანდელი მძიმე დროება. მაგალითად, განა დიდი ხანია, რაც კაკტაგაი—მატვეევკის თემის მესაქონლე კაზახები თავიანთ საჩივარში სწერდნენ, როდესაც მათ კოლონიზატორები ერეკებოდენ კარგი საძოვრებიდან: „რა ვქნათ? ბალხაშისკენ რომ გადავიდეთ, იქ ქვიშაა, ბალახი ნაკლებად მოდის, თემები ვერ დაეტევიან და საქონელი შეიძლება დაგვეღუპოს... ჰაერში რომ ავფრინდეთ,— ფრთები არ გვაბია, არც საქონლის დასაბინავებელი ადგილი გაგვაჩნია“...

ახლა კი, იოსებ ბესარიონის-ძევ, ბალხაშის ქვიშებზეც კი ხალხი დაფუსფუსებს. იქ ყოფილი მომთაბარეები აშენებენ საბჭოთა კავშირის სპილენძის დიდ გიგანტს. იქ წინ და უკან, ალმა-ატიდან ბალხაშის ტბით და ამის იქითაც ყარაგანდისკენ მიმოფრენენ საბჭოთა კავშირის უხარმაზარი ფრინველები—თვითმფრინავები; ხოლო ყარაგანდის მხრიდან უკვე მთავრდება და ერთი თვის შემდეგ მზად იქნება ახალი რკინიგზა 500 კილომეტრის სიგრძით, რაც ნახევარ ტურკსიბს უდრის.

ძალიან გვინდა პირადად შენ გაჩვენოთ, თუ რა ძმურად ვცხოვრობთ კაზაკი და რუსი მუშები და კოლმეურნეები, რა დიდად გვეხმარება ყოველ ნაბიჯზე რუსეთის პროლეტარიატი და როგორ სიტყვა-სიტყვით ხორცს ისხამს ცხოვრებაში ლენინისა და სტალინის დიადი მოძღვრება! როგორ გვინდა ვაჩვენოთ შენ თუ ამ წლებში, მეტადრე ბოლო სამ წელში, შენი განსაკუთრებული დახმარებითა და მხარის დაჭერით რამდენი დიდი საოცრება რამ გაკეთდა ჩვენს ვეებერთელა მხარეშიც.

რა გაეგებოდათ კაზახსტანის სიმდიდრეებისა წყეულ კოლონიზატორებს, მინდვრის მგლებს—ბაიებსა და ფეოდალებს, საიდან სად მოსულ მტაცებლებს—კონცესიონერებს? მათ მხოლოდ ერთი რამ იცოდნენ:—ჩაწიხლე, დაჩაგრე, იქურდე! უცნობი იყო ბალხაშისა და ჯეზკაზგანის სპილენძის სიმდიდრე, ტყვიის, თუთიის, ოქროს, ვოლფრამის, მოლიბდენის, ბორატის, სურმის უმდიდრესი მარაგი და მრავალზე უმრავლესი სხვა სიმდიდრე, რაიც აღმოჩენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დროს. უცნობი იყო ყარაგანდიც, „ემბანავთიც“, დიდიხნის წინათ აღმოჩენილი რიდერის საზღაპრო სიმდიდრენიც. ეკატერინის დროიდან მოყოლებული ჩხირკედელაობდნენ მეფეები და კონცესიონერები ალტაიზე. ყმებისა და ნახევარყმების ხელებით ჰქექავდნენ იმას, რაც ზედაპირზე დევს. ამ სიმდიდრეებთან სატრანსპორტო გზაც კი ვერ გაიყვანეს, როგორ არ ვიამაყოთ ჩვენ, რომელთაც ავაშენეთ ტურკსიბი და ყარაგანდა, რომელთაც რიდერზე გავაკეთეთ ის, რაც მეფისა და ბურჟუაზიის ძალღონეს აღემატებოდა! ერთი თვის შემდეგ ამუშავდება რკინიგზა რუბცოვკა-რიდერი, სიგრძით 270 კილომეტრი, რომელიც გაყვანილია მთებში და რომელიც, როგორც იქნა, გზას გვიხსნის ალტაის სიმდიდრეებისაკენ. იცოცხლე, რომ ალტაის მთებში, ბლომა სა- [illegible]

ნავთი უკვე მიედინება ორსკში, ურალზე.

ცენტრალური კაზახსტანის სტეპი წინათ საშინელ და შიმშილიან სტეპებად ითვლებოდა, მაგრამ რა დიადი შეტევა გაიშალა ამჟამად იმ ადგილებში, რომლებიც წინათ ალაჰისგან დაწყევლილ ადგილებად იყო მიჩნეული! შეტევა ოთხი მხრიდან მიმდინარეობს:—ყარაგანდიდან, სადაც უკვე გაიზარდა 150 ათასი მოსახლეობის ქალაქი, სადაც უკვე წარმოიშვნენ და ამჟამადაც ჩნდებიან ასობით კაზაკი სტახანოველები—კუზემბაევები, რაკიშევები და სხვანი; შორეული ემბიდან და გურიევიდან, თოვლიან ალტაიდან და ბამბის რაიონიდან—სამხრეთ კაზახსტანიდან. ეს შეტევა მიმდინარეობს უდაბნოს ცენტრიდან—ბალხაშიდან, კაზახსტანის თვალმარგალიტიდან—ჯეზკაზგანიდან, სადაც ხუთწლედების განმავლობაში გამოკვლეულია საბჭოთა კავშირში ყველაზე უდიდესი საბადოები სპილენძისა, რომელიც თავის ფართო სამრეწველო დამუშავებას მოელის.

რა სიხარულს გვანიჭებს მარტო ის ფიქრი, რომ წინათ დაბეჩავებულ კაზახსტანში ჩვენი სამშობლოს მიერ და შენ მიერ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, უკვე გამოზრდილია პროლეტართა უდიდესი არმია. 700 ათასი კაცი, რომელთა ნახევარზე მეტს კაზახები შეადგენენ.

დიდი ხანი რაც მოლაყბე ბაიბი თავი მოჰქონდათ, რომ ოქტომბრის წინა ხანებში ჰყავდათ ერთადერთი კაზაკი —ინჟინერი, მშრომელთა დაუძინებელი მტერი, ალაშ-ორდინელი ტანიბაევი. ახლა კი კაზაკი ინჟინრები, ექიმები, მეცნიერი მუშაკები, პროფესორები ასობით კი არა, ათასობით ითვლებიან. რა სასიხარულოა და საამაყო იმის შეგნება, რომ ჯეზკაზგანის საბადო შეისწავლა და გამოიკვლია დიდმა კაზაკმა მეცნიერმა, ახალგაზრდა გეოლოგმა სატპაევმა. ახლა სტეპზე, უდაბნოზე მიტანილ უდიდეს სოციალისტურ შეტევაში გმირ რუს პროლეტარებთან ხელჩაკიდებულნი მიაბიჯებენ კაზაკი სტახანოველები, რუს მეცნიერებთან ერთად—კაზაკი მეცნიერები, სოციალისტური მრეწველობისა და მინდვრების კაზაკი ინჟინრები.

სულ ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც კაზახსტანში საკოლმეურნეო წყობილების ერთ-ერთმა საუკეთესო ორგანიზატორმა, ყოფილმა მოჯამაგირემ დუსიმბეი ალტინბეკოვმა მზისგან გადაბრუგულ შაულდერის ველზე მიუშვა წყალი მდინარე არისიდან. უზარმაზარ ცალიერ ადგილზე დასახლდა ექვსი ათასი ყოფილი მომთაბარე და აქ გაშენდა დიდი, აყვავებული რაიონი, რომელიც ერთერთი საუკეთესო რაიონია სამხრეთ კაზახსტანში. შაულდერის კოლმეურნეთა უცვლელმა ხელმძღვანელმა, ამჟამად რაიაღმასკომის თავმჯდომარემ დუსიმბაიმ გააშენა მთელი ქალაქი საბჭოთა სახლით, საავადმყოფოთი, აბანოებით, კლუბით, ელექტროსადგურით; მან მიაღწია ბამბის და ხორბლის ბრწყინვალე მოსავალს, მეცხოველეობის ზრდას, ბედნიერ სოციალურ ცხოვრებას წინანდელ უკაცურ და უწყლო ადგილებში.

ახლა, იოსებ ბესარიონის-ძევ, სატპაევები და ალტინბეკოვები, ცოტანი როდი გვყავან, მომავალში კი გაცილებით მეტნი იქნებიან.

აულებში მიწას მამაპაპური კეტმენით ვჩიჩქნიდით, შინგაკეთებული ხის კავით ვხნავდით, ზოგჯერ უბრალო მოკაუჭებული ხითაც. მაგალითად, ვერნენის მაზრის ყველა აულში 1914 წლის წინა ხანს იყო მთლად ხუთი სათიბი მანქანა და ცხენის ფოცხი, სამი სანიავებელი; ისიც ეს მანქანები ბაიბს ჰქონდათ. ახლა კი მარტო ვერნენის წინანდელი მაზრის ფარგლებში ოცზე მეტი სამანქანო-სატრაქტორო სადგურია. კაზახსტანის კოლმეურნე- [illegible]

ტურები—საფლორი, შირბახტი, იტალიური კანაფი, კარდი, ჩვენი ჭარხალი, წვნიანი, შაქროვანი ჭარხალი! ჯერ შარშანვე ამ ჭარხალმა უზრუნველჰყო მთელი კაზახსტანი საკუთარი შაქრით, რომელიც დამზადდა კაზახსტანში ამ წლების მანძილზე აშენებულ ქარხნებში. მაგრამ ეს ხომ დასაწყისია მხოლოდ, ეს ხომ პირველი ნაბიჯებია არტელებისა და მიწის საერთო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებისა, რომელნიც განმტკიცების და სიმდიდრის გზით მიიმართებიან.

ოქტომბრამდე კაზაკებს შორის მხოლოდ ერთნახევარმა პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, ეს მცოდნენიც მხოლოდ ბაიბი და მოლები იყვნენ, ანდა თვით მმართველნი და მათი შვილები. მხოლოდ ასეული ბავშვები სწავლობდნენ კაზაკსტანის სკოლებში. ახლა როგორ, არ იკითხავთ:—მოლა ჯოხით ასწავლიდა მათ! ახლა კი, იოსებ ბესარიონის ძევ, დაწყებით სკოლებში მარტო კაზაკთა ბავშვების რიცხვი 250 ათასს აჭარბებს, სხვა ეროვნებათა ბავშვები რომ არ ჩავთვალოთ. მართალია, სასკოლო საქმეში და საერთოდ კულტურის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამორჩებით მოწინავე მოძმე რესპუბლიკებს. მაგრამ როგორ არ აღვნიშნოთ და არ გავიხაროთ, რომ შორს აღარ არის დრო, როდესაც კაზაკსტანიც მთლიანი მცოდნეობის მხარე შეიქნება. განსაკუთრებით გვიჭირდა სკოლის საქმე აულში. სივრცე უზარმაზარი, აულები კი პატარაა, მოდი და აქ კარგი სკოლა ააგე. მაგრამ ამ ბოლო წლებში ეს ძნელიც გადავჭერით. მომთაბარეთა რაიონებში, რაიონების ცენტრებში და დიდ აულებში დავიწყეთ კაზაკთა სკოლების, ინტერნატების შექმნა და ახლა საქმე უფრო ხალისიანად და კარგად მიდის. იზრდება, იფურჩქნება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა.

ჩვენ კარგად ვიცით, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ კაზაკსტანის მშრომელებს დიდი ვალი აწევთ ჩვენი დიადი სამშობლოს წინაშე, შენს წინაშე, ჩვენო მასწავლებელო და საუკეთესო მეგობარო — ჯერ მეცხოველეობა ფეხზე ვერ დავაყენეთ. მაგრამ ჩვენი ქვეყნისა და პარტიის უდიდესი დახმარებით, შენი განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით ამ წლებში ჩვენ მიერ უკვე, მოპოვებულია პირველი წარმატებანი ამ უაღრესად სუსტ უბანზედაც. მეცხოველეობის დიდი აღმავლობას უკვე მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

მას შემდეგ, რაც მოგვეცა დიადი და ბრძნული მითითებანი კაზახსტანის მეცხოველეობის აღმავლობისათვის შესახებ, მთელი ჩვენი ფიქრი, მთელი გულის თქმა ერთ რამეს უტრიალებს—ჯოგის აღდგენას, მესაქონლეობის აღმავლობას.

ახლა შეიგნო ყველა პატიოსანმა კოლმეურნემ, ყველა კოლმეურნე ქალმა—მეცხოველეობის აღმავლობისთვის ამ საუკეთესო მებრძოლებმა,—რომ მხოლოდ საკოლმეურნეო ხალვათობის დროს, საკოლმეურნეო ცხოვრების ბრძნული წესდების დროს შეიძლება ჩვენს სივრცეებზე მომრავლდეს კარგი და ჩასუქებული ცხვრის ფარა და ნახირი.

როგორ არ გავიხაროთ და არ გაგიზიაროთ შენც საუკეთესო კოლმეურნეობათა წარმატებანი, ისეთ კოლმეურნეობათა წარმატებანი, როგორიც არის კოკპენტინის რაიონის კოლმეურნეობა „ჩუპარჩი“, სადაც მუშაობს კაზახსტანის წარჩინებული [illegible], ყაზანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი—საუკეთესო დამკვრელი ბილათია კოსუმბაევა. ეს კოლმეურნეობა ძალიან დიდი არ არის, მასში სულ 132 კომლია, მაგრამ უკანასკნელ წლებში რამდენი საუცხოო პირუტყვი მოაშენეს. ფერმაში მარტო ცხვარი 10.000-მდეა. და მერე რა ცხვარი! კრავველისაა 4 ათასი, ინგლისური ლინ- [illegible]

[illegible] ნეს, როგორიც „ჩობარჩი“ და სტეფანე რაზინის სახელობის კოლმეურნეობაშია.

მერე რა გმირები ჩნდებიან ახალ კოლმეურნეობებში. ამოსოვის სახელობის კოლმეურნეობამ ჯიშიანი ცხვრის საუკეთესო ფარა ჰუსეინ ჯუმასოვს მიანდო. ერთხელ შუაღამისას ფარეხში მგელი შეიჭრა. სამოცდახუთი წლის მოხუცი მწყემსი ჰუსეინი არ მოერიდა ხიფათს, გაექანა, მიყარ-მოყარა ერთად შეჯგუფებული ცხვრები, დაკოჟრილი ხელებით სწვდა მგელს ყელში და წაახრჩო. მგელმა ჰუსეინს დაუგლიჯა ცხვირი და ლოყები, დაუკბინა ორივე ხელი.

ამას წინათ მდინარე ტოკრაუკის ველში, ყარყარალინის ოლქში მოწყობილ გამოფენაზე კოლმეურნე ახინტაი ალაბერგენოვმა მოიყვანა თხების მთელი ოჯახი—22 სული, წარმომდგარი იმ ერთადერთი თხისაგან, რომელიც მას ამ სამი წლის წინათ ჰყავდა. კოლმეურნე ამირხან ტაჯიბაევოვმა ჩამოიყვანა 10 სულისაგან შემდგარი ძროხების ოჯახი. მან ეს პირუტყვი მოაშენა ოთხი წლის განმავლობაში ერთი ძროხისაგან. ასეთი გზით ბევრმა ახლა უკვე გაიჩინა 30—40 სულისაგან, ხოლო ზოგიერთმა თვით 100 სულისაგან შემდგარი ჯოგი.

ჩვენი სუსტი ადგილია ცხენები და აქლემები. თუმცა ამ წლის განმავლობაში 100 სულ ცხენზე მატება 6-ს უდრის, მაგრამ ეს ცოტაა. რაც შეეხება აქლემებს, მათი სულადობა ჯერ ისევ მცირდება. პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ გავიჩენთ ისეთ ჯოგებს, როგორიც ჩვენს მინდვრებში არასოდეს არ ყოფილა, რომლებსაც შეაქებენ ამხანაგი ვოროშილოვიც და ამხანაგი ბუდიონიც.

უკანასკნელ სტრიქონებში გვინდა გითხრათ ის, რის გადმოცემაც, რის გამოხატვაც არ შეიძლება არც ციფრებით, არც პროცენტებით: თუ რა ძლიერ გვიყვარხარ შენ — ბელადო და ძვირფასო ხელმძღვანელო, თუ რაოდენ ერთგულნი ვართ სამშობლოსი, თუ როგორ ვამაყობთ კაზაკი და რუსი მშრომელნი—მძლავრი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქენი ჩვენი საკუთარი თავით, საბჭოთა კავშირში მოსახლე ხალხებით და ჩვე- [illegible]

დებული მობილიზაციის საპასუხოდ, კაზაკთა აულები აჯანყდნენ უცხო და საკუთარ მჩაგვრელთა, დაიწყეს გლეხური ომი. მეფის გენერლებს კიდევ ეყოთ ძალა დაემარცხებინათ ღარიბ კაზაკთა რაზმები. მაგრამ უკვე 1918 წელს, აჯანყებულთა ყოფილი ბელადი, ტურგაის სტეპის სამხედრო კომისარი, სამოქალაქო ომის გმირი ამანგელდი იმანოვი, რომელიც ოქტომბრის შემდეგ მაშინვე შევიდა ბოლშევიკთა რიგებში, ამბობდა: „1916 წელს ჩვენ გავბედეთ და ქამჩითა და ცულით ძირფესვიანად ამოვაგდეთ ცარიზმი. ახლა რევოლუციურ ბრძოლაში, რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით, ჩვენ საბოლოოდ გავანადგურებთ თეთრ ბანდებს, მოვსპობთ როსკიპ ალაშორდინელებს და ავაშენებთ ბედნიერ ცხოვრებას“. ბედნიერების გასაღები ბოლშევიკური პარტიის ხელთ იყო. ხალხთა ბედნიერებით სავსე ზანდუკი გახსნეს კაცობრიობის დიდმა ბაჰადირებმა—ლენინმა და სტალინმა!

დუტოვების, კოლჩაკების, ანენკოვების, თავისი მტრების—ალაშორდინელების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, კულაკთანა და ბაისთან ბრძოლაში იპოვა თავისი სამშობლო კაზაკმა ხალხმა, წელში მოღუნულები გაიმართნენ. ერთი გენახა, იოსებ ბესარიონის ძევ, ლბიშჩენსკში, იქ, სადაც დაიღუპა დიდი გმირი ჩაპაევი, 56 წლის კოლმეურნე ბესენგალი ამას წინათ პირველი როგორ აახლებდა საპარაშუტო კოშკს. იქ კარგად მოიგონეს: სამრეკლო—საპარაშუტო კოშკად გადააკეთეს. პირველი გადმოხტა ბესენგალი, ხოლო მას 600 კოლმეურნე მიჰყვა.

და იცოდე, იოსებ ბესარიონის-ძევ, იცოდე, მთელო ჩვენო სამშობლოვ, რუსეთის დიდო პროლეტარიატო,—რომ როდესაც ატყდება საომარი განგაში, ისევე, როგორც 1916 წელს, როგორც სამოქალაქო ომის წლებში, მთებში აინთება სანიშნო კოცონები, მთელი კაზაკი ხალხი ფეხზე დადგებით, მაგრამ სამშობლოს მტრებისაგან დავიცავთ.

კარგად და სწორად მღერიან ახ- [illegible]

[illegible]

წერილი [illegible] ხელი მოაწერა 626.436 [illegible]

გამომგონებელი სოციალიზმის მოწინავე მშენებელია!

მუშა გამომგონებლები — მარცხნიდან მარჯვნივ. 1. იოსებ ველიძე (კალინინის ქარხანა)—გამოიგონა ელექტრო—შუთოების ფსკერის საჭედ-სახეხი დაზგა. იძლევა 19.920 მანეთის წლიურ ეკონომიას. აქვს 7 რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც იძლევა 37.000 მანეთის ეკონომიას. 2. ამხ. კონტერი (26 კომუნარის ქარხანა, კომკავშირელი)—აქვს მთელი რიგი წინადადებები საფეიქრო მანქანათა დეტალების დასამზადებლად. 3. ამხ. ე. ხუნდაძე (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა, კომუნისტი)—გამოიგონა აბრეშუმის საქსოვი დაზგის დგმული, ასაცმევის დასამზადებელი დაზგა. 4. გუგული შენგელია, აქვს რაციონალიზატორული წინადადება ძაფის პირდაპირი გახვევის შესახებ. დაჯილდოვებულ ია შრომის ორდენით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული მუშაკის ჰორიზონტის შესახებ

„პრავდის" მოწინავე, 25-X

პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ გადაჭრით დააჩქარა ყველა პარტორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნის ტემპი; მან არა მარტო მასები გააქტივა და ხელმძღვანელნი შეარხია: პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ მკაცრი შეურყევლობით გადაიყვანა გარდაქმნის ყველა გეგმა და ჩანასახი უფრო სწრაფ სვლასა და უფრო პრაქტიკულ ნიადაგზე. პარტმუშაობის სულ უფრო-დაუფრო მზარდი გაცხოველება უცილობელი ფაქტია.

ძნელი დასათვლელია, რამდენი მოხსენება გააკეთეს რაიკომების მდივნებმა პარტმუშაობის გარდაქმნაზე. ისინი მოხსენებებს აკეთებდნენ პარტაქტივის ვიწრო და ფართო კრებებზე, რაიკომის ბიუროების სხდომებზე და პლენუმებზე მოხსენებებს უკეთებდნენ აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, პარტორგებს ჯგუფპარტორგებთან ერთად და მათგან განცალკევებით. ისინი საანგარიშო მოხსენებებს აბარებდნენ ზემდგომ ინსტანციებს სიტყვიერად და წერილობით ნაწილ-ნაწილ და რაიკომის მთელ აპარატს და მისი ძირეული რგოლების მუშაობაზე.

ბუნებრივია კითხვა: როგორღა გარდაქმნეს თავისი მუშაობა თვით რაიკომების მდივნებმა? ლაპარაკია ათასობით მუშაკებზე, რომელნიც უმნიშვნელოვანეს როლსა თამაშობენ პარტიულ აპარატში. ისინი უშუალოდ ხელმძღვანელობენ პირველად ორგანიზაციებს. ისინი ყოველდღე აწყობენ ბრძოლას პარტიის გადაწყვეტილებათა უშუალოდ ადგილობრივ პრაქტიკული რეალიზაციისათვის. ამ მუშაკებამდე ხელად აღწევს ოდნავი ძვრა მშრომელთა უპარტიო მასების განწყობილებებში. ისინი ახორციელებენ კადრების განწყობას, ზრდიან კომუნისტებს სულ უფრო-დაუფრო ძნელი ამოცანების გადასაჭრელად. ხოლო მათ თვითონ როგორღა გარდაქმნეს თავისი მუშაობა?

სულ უფრო-დაუფრო მრავლდება ჩვენში ისეთი რიგითი კვალიფიციური მუშები, რომლებსაც აქვთ მომზადება საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით. მილიონობით მუშები პირდაპირ დაზგიდან ან ბრძმედიდან ანდა მარტენის ღუმელიდან დადიან საღამოს ტექნიკუმში, ინსტიტუტში, საწარმოო-ტექნიკურ კურსებზე, საზაფხულო სკოლაში, ბიბლიოთეკაში — დაუსწრებელი სწავლისათვის საჭირო წიგნების წასაკითხავად. იმ მუშას, რომელსაც არ შეუძლია ჯეროვნად და დამოუკიდებლად გაერკვეს ნახაზში, სათანადოდ ისარგებლოს და იხელმძღვანელოს საკონტროლო-გამზომი აპარატურით, თავისი მეზობლებისა რცხვენია. მოზარდი თაობა, დღევანდელი მოწაფენი წლითიწლობით უშუალო და უდაო სიცხადით აამაღლებენ როგორც მუშების, ისე კოლმეურნეების საშუალო კულტურულ დონეს.

პარტიული მუშაკი — ეს მასების ხელმძღვანელია. მას არც შეუძლია და არც ვალდებულია ჰქონდეს ენციკლოპედიური ცოდნა ყველა დარგში; დაუმცადა, ერთი შეხედვით, იგი ისეთ ადამიანად გვეჩვენებით, რომელსაც მართლაც წაუშლია შრომის განაწილების ყოველგვარი კვალი. იგი კონსულტაციას აძლევს პროპაგანდისტს წრეში მეცადინეობის შერიგი თემისათვის. იგი სინჯავს შრომის ხელფასის რიგორმას პროფკავშირულ მუშაკებთან ერთად და ჩხრეკს სატარიფო კლასიფიკაციების ყოველგვარ წვრილმანს. იგი გაცხოველებით ეწევა დისკუსიას სახალხო კვების მუშაკებთან სადილის, ნაზუქის და ჭიქა ბურახის ფასების კალკულაციაზე. იგი ინსტრუქციას აწვდის მიმდინარე პოლიტიკური კამპანიის გასატარებლად გასაგზავნ აგიტატორებს. იგი მინდვრად ამოწმებს, მთელი კარტოფილი ამოუთხრიათ თუ არა, სად ინახება, როგორ ეზიდებიან. იგი შეწუხებული იღუშება ან გახარებული იღიმება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძროხათა წველადობის ციფრებზე... ერთი სიტყვით, იგი „მეზღვაურიცაა და ხუროც"!

პარტიული მუშაკი უნდა იყოს პოლიტიკური მოქმედებისა და ბოლშევიკური თეორიის ოსტატი, ათასობით და მილიონობით ადამიანთა ორგანიზატორი და აღმზრდელი. არა გარეგნული ენციკლოპედიურობა, არამედ ნამდვილი უნარი — გაერკვეს ყოველი ფაქტის პოლიტიკურ მნიშვნელობაში, გამოარკვიოს, საიდან წარმოიშვა ეს ფაქტი და საითკენაა მიმართული, ვისთვისაა იგი ხელსაყრელი მიმდინარე კლასობრივ ბრძოლაში, — აი რით გამოირჩევა პარტიული მუშაკი. განსაკუთრებული ალღო კადრებისადმი, მათი ბრძოლისუნარიანობის შემოწმება, მათი სწორად განწყობა, ძვალსა და რბილში გამჯდარი შეურიგებელი სიფხიზლე — ასეთია მისი დამახასიათებელი თვისება.

პარტიულ მუშაკს აქვს თავისი „სპეციალობა", თავისი „პროფესია", თავისი დარგის „ტექნიკა". იგი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი შედის იმ პარტიის ხელმძღვანელი კადრების რიცხვში, რომელიც აღჭურვილია ყველაზე მოწინავე თეორიით. იგი ეკუთვნის უდიდესი რევოლუციური მოქმედების პარტიას, რომელიც ახამებს აზრის განსაცვიფრებლად გაბედულ და შორსგამჭვრეტ გაქანებას ყველა — დიდი, და უწვრილესი — აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიების მთელი წყების უმაგალითო თავგამოდებულ დამუშავებასთან. პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყანას, სადაც ხორციელდება წინანდელი ცხოვრების ყველა ბურჯის უმაგალითო გმირული, გეგმიანი და შეგნებული გარდაქმნა, ქვეყანას, სადაც ასე შეუმჩნეველია მიჯნა ოცნებისა და სინამდვილეს შორის, „პატარა საქმეებსა" და გმირობას შორის.

ამავე დროს კი ჩვენში ზოგჯერ დღემდე გვხვდება ისეთი ტიპის პარტიული მუშაკი, რომელსაც თავიც კი მოაქვს მცირეცოდნითა და უკულტურობით: აქაოდა, მე გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში არ მისწავლიაო. ამ უბადრუკ მუშაკს ვერ გაუგია, რომ მისსავე ორგანიზაციაში რიგითმა კომუნისტებმა წარმოებას მოუწყვეტლივ უკვე დაამთავრეს საღამოს კომუნისტური უნივერსიტეტი. ვერ გაუგია, რომ დღემუდამ მხოლოდ ძველი ფარად გამოყენება არ ეგუება თვითკრიტიკის სულს.

ყოველ პარტიულ მუშაკს, ზუსტი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავისი ბელადების დონეზე. მარქს-ენგელსის, ლენინის და სტალინის დონეზე. ლენინის მიერ კომკავშირის მე-3 ყრილობაზე მარქსის შესახებ ნათქვამი სიტყვები თითოეულ ჩვენს მასწავლებლთაგანს შეეხება: გავიხსენოთ ვლადიმერ ილიჩის ეს შესანიშნავი ნათქვამი:

„მარქსი ეყრდნობოდა ადამიანის მიერ კაპიტალიზმის დროს მოპოვებული ცოდნის მკვიდრ საძირკველს, ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონთა შესწავლი. მარქსმა გაიგო კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობა, რასაც კომუნიზმამდე მივყევართ და, რაც მთავარია, მან ეს დაამტკიცა მხოლოდ თვით ამ კაპიტალისტური საზოგადოების უაღრესად ზუსტი, უაღრესად დეტალური, უაღრესად ღრმა შესწავლის საფუძველზე..."

და განა არ ვხედავთ, თუ რა გენიალური ჩაწვდომით საქმის რაობასა და მის თავისებურობაში, რა ყოველმხრივი ცოდნით ხელმძღვანელობს ამხანაგი სტალინი საერთაშორისო პოლიტიკას და სამეურნეო მშენებლობას, არქიტექტურასა და თეატრს, ისტორიულ მეცნიერებასა და მხატვრულ ლიტერატურას: მარტო სტალინურმა ლოზუნგმა სოციალისტური რეალიზმის შესახებ ახალი ფურცელი გადაშალა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

განა ვალდებული არ არიან ჩვენი პარტიული მუშაკები, ქვემოდან მოკიდებული ზემდგომ საფეხურამდე, გაუსწორდნენ ჩვენი მასწავლებლების ამ დონეს? ყოველი პარტიული მუშაკი უნდა ისახავდეს არა მარტო პატარა ამოცანებს, არამედ დიდ მიზნებსაც. ლენინიზმი გვასწავლის უაღრესად შევაფასოთ ხელმძღვანელი კადრების, მათი აღზრდისა და შერჩევის მნიშვნელობა. ჩვენი „პროფესიული რევოლუციონერები" უნდა იდგნენ მათთვის წაყენებული ახალი და განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნების სიმაღლეზე.

ბევრი პარტმუშაკის გამუდმებული ჩივილი, დრო არა გვყოფნისო, მოწმობს, რომ ისინი თვითდინებას დამორჩილებიან, და ეს უაღრესად საშიშარი სიგნალია. ცუდია, მაგალითად, საქარხნო პარტკომის ის მდივანი, რომელიც შოულობს დროს ათობით ან ასობით ცალკეული საჩივრები გაარჩიოს საამქროებში უწესრიგობის შესახებ, ხოლო იმისთვის ვერ უპოვნია დრო რომ მოიფიქროს თავისი ქარხნის ტექნიკური პოლიტიკის საპროგრამო და გადამწყვეტი საკითხები. ცუდია, მაგალითად, პარტიის ის საოლქო კომიტეტი, რომელსაც ვერ გაუბედავს გაუშვას პარტიული მუშაკები სასწავლებელში, და სწავლას გადადებს ხოლმე ხან თესვის კამპანიის ბოლომდე, ხან მოსავლის აღების ბოლომდე, ხან კონფერენციის გატარებამდე — გაზაფხულიდან ზაფხულისათვის, შემოდგომისათვის, ზამთრისათვის. ცუდია ის ორგანიზაცია, რომელშიაც მოფიქრებული არ არის აქტივთან მეცადინეობის სპეციალური სისტემა. შემთხვევით[illegible] იქნება იქ საჩივარი, მუშაკები გვაკლიაო და დაუსრულებელი თხოვნა ადამიანები მოგვაშველეთო.

პარტიულ მუშაკს არ შეუძლია და არც ვალდებულია იცოდეს იმაზე მეტი, რაც სპეციალურმა მუშაკებმა იციან, მათ სპეციალურ დარგებში. მაგრამ იგი ყველას უნდა სჯობნიდეს თავისი „სპეციალური" ცოდნით, სტალინური სკოლის პოლიტიკური მოღვაწის ფართო ჰორიზონტით, მაღალი პოლიტიკური და კულტურული დონით.

პარტიული მუშაობის გარდაქმნა. წარმოებაში ერთმმართველთა უფლება-მოვალეობაში ჩარევის, საბჭოთა ორგანოების მუშაობის განმეორების, პროფკავშირთა მაგიერობის გაწევის გადაჭრით ლიკვიდაცია მკვეთრად აძლიერებს პარტიული აპარატის სისტემაში ჩაბმული ყოველი მუშაკის პოლიტიკურ აღჭურვას, შინაარსიანობასა და პასუხისმგებლობას.

პარტია კატეგორიულ მოთხოვნას უყენებს ყოველ პარტიულ მუშაკს: უფრო სწრაფად გარდაიქმენ, უფრო საფუძვლიანად გააფართოვე შენი ჰორიზონტი, ღირსი იყავ იმ უდიდესი პატივისა და ბედნიერებისა, რომ ლენინისა და სტალინის დიადი ბოლშევიკური პარტიის აპარატში მუშაობ!

იტალია-აბისინიის ომი

აბისინიის მთავრობის დეკრეტი

ლონდონი, 23 ოქტომბერი. აბისინიის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი ომის მიზნისათვის ყველა იმ მასალის რეკვიზიციის შესახებ, რომელსაც ომის საჭიროებასთან პირდაპირი ან არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვს. რეკვიზირებული მასალისათვის კომპენსაციის განსასაზღვრავად სპეციალური კომისია დაინიშნა (ადს).

პრინც იზმაილ დაოდი ჩავიდა ადის-აბებაში

ლონდონი, 23 ოქტომბერი. ადის-აბებაში ჩავიდა ეგვიპტის მეფე ფუადის ბიძაშვილი, პრინცი იზმაილ დაოდი. პრინცი არის წითელი ჯვრის ეგვიპტელთა რაზმის მეთაური. ამ რაზმში ითვლება 3 ათასი კაცი, მათ შორის 250 ექიმი.

იტალიის ჯარების გაგზავნა აღმ. აფრიკაში

რომი, 23 ოქტომბერი. გუშინწინ ნეაპოლიდან აღმოსავლეთ აფრიკაში გაიგზავნა 2 ათასი იტალიელი ჯარისკაცი, მათ შორის ტყვიამფრქვევთა ორი მოტორიზებული ბატალიონი. გუშინ გაიგზავნა კიდევ 6 ათასი ჯარისკაცი (ადს).

ჰამბურგის ნავსადგური გამოცოცხლდა

ბერლინი, 23 ოქტომბერი. გემთმფლობელთა ორგანოს სიტყვით, იტალია-აბისინიის ომის შედეგად „ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის და სამხრეთ-სლავიის დიდძალი საქონელი, რომელიც წინათ ტრიესტზე (იტალიის ნავსადგური ადრიატიკის ზღვაზე) გადიოდა, ახლა ჰამბურგით იგზავნება". მთელი რიგი სანაოსნო საზოგადოებანი, გარდა ჰამბურგ-ლონდონის ყოველდღიური რეისების შემოღებისა, ახლა კიდევ სპეციალურ გემებს ჰგზავნიან. (ადს).

იტალიის გემების ბოიკოტი ინდოეთში

ლონდონი, 23 ოქტომბერი. ბომბეიდან (ინდოეთი) გავიდა იტალიის გემი, რომელზეც სულ 15 მგზავრი იჯდა, თუმცა იგი 330 კაცს იტევს. წინანდელ რეისებს გემი სრული დატვირთვით ახდენდა. მგზავრთა შემცირება დაკავშირებულია ბოიკოტთან, რომელიც ინდოეთში იტალიის გემების წინააღმდეგ ხორციელდება (ადს).

ლონდონი, 23 ოქტომბერი. აბისინიიდან მიღებული ცნობებით, ჩრდილოეთის ფრონტზე ფრიად დაძაბული მდგომარეობაა. აბისინიის ოფიციალურ წრეებში მოელიან დიდ შეტაკებას, რომელიც, როგორც ფიქრობენ, იქნება პირველი სერიოზული ბრძოლა სამხედრო მოქმედების დაწყებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მობილიზაცია ტიგრეს პროვინციაში ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ჩრდილოეთის ფრონტზე თავმოყრილია დაახლოებით 320 ათასი აბისინელი ჯარისკაცი (ადს).

აბისინიის ჯარები ჩრდილოეთის ფრონტზე

ლონდონი, 23 ოქტომბერი. ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია, რომელშიც 150 ათასი კაცი ირიცხება და რომელსაც ჩრდილოეთის ფრონტის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები უკავია, არის რას სეიუმის სარდლობით მომქმედი არმია. სამხედრო მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში რას სეიუმის არმიამ დაჰკარგა 15-დან 20 ათას კაცამდე.

რას სეიუმის არმიას უკავია რამდენიმე კილომეტრი პოზიცია მაკალეს ჩრდილოეთით. იგი დიაგონალით გაჭიმულია ადუადან ხამლესაკენ და შემდეგ მთებისაკენ. არმიის ნაწილი კვლავ რჩება მთებში, რომლებიც ადუას გარს არტყიან.

რას სეიუმის არმიის დასავლეთით და მდინარე ტაკაზეს ჩრდილოეთით იმყოფება რას კასას არმია, რომელშიც 100 ათასი კაცი ითვლება. რას კასას არმიას უკავია პოზიცია აქსუმსა და ადუას შუა, რომელიც ხამლეს მახლობლად მდებარეობს. რას კასას არმიამ ამ ცოტახნის წინათ გადალახა მდინარე ტაკაზე დასავლეთით და შეუერთდა რას სეიუმის არმიას.

ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, დერასა და ედაგა-ხამუს შუა იმყოფება 20-ათასიანი არმია გენერალ კასას სარდლობით.

ომ-ხაგარის სამხრეთით, სუდანის საზღვრის მახლობლად, იმყოფებიან რას აიელუს ჯარები — 40 ათასი კაცი. მის განკარგულებაშია აგრეთვე 20 ათასი ცხენოსანი, რომლებიც რას კასამ გონდარიდან გაგზავნა, და რას იმრუს მიერ გოჯამის პროვინციიდან გაგზავნილი 20 ათასი ცხენოსანი.

რას კასას არმიის იქით პოზიციები უკავია 20 ათასიან არმიას ვაგშუმ კელადის სარდლობით. მათ იქით არის კიდევ რამდენიმე შედარებით უფრო მცირერიცხოვანი არმია ცალკეული გენერლების სარდლობით. ჯარის დიდი ნაწილები მიემართებიან ჩრდილოეთის ფრონტისაკენ ადის-აბებიდანაც.

იტალიის ჯარების უკანდახევა

ლონდონი, 23 ოქტომბერი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, იტალიის ჯარები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ მუსა ალიდან ასაბის მიმართულებით (ერიტრეა) უკანდახევა გამოწვეულია იმით, რომ აბისინელებმა ყველა ჭაში მარილი ჩაყარეს (ადს).

ჰავასის სააგენტოს ცნობა

პარიზი, 23 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, კაბინეტის სხდომაზე პრემიერმა ლავალმა აღნიშნა, რომ რომსა, პარიზსა და ლონდონს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად დაძაბულობა შენელდა, რაც შემდგომი პროგრესის იმედს იძლევაო. სააგენტო აღნიშნავს, რომ „მთავრობამ ერთსულოვნად მოიწონა ლავალის ღონისძიებანი, რომელთა მიზანიცაა სამხედრო მოქმედების შეწყვეტა აღმოსავლეთ აფრიკაში". (ადს)

ამბები აბისინიიდან

ლონდონი, 24 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ შეუმოწმებელი ცნობების თანახმად, აბისინიაში სამხრეთის ფრონტზე დიდი ბრძოლა დაიწყო. რას დესტის ჯარების წინააღმდეგ, რომელნიც 300 ათას კაცს შეადგენენ, დგას იტალიის 140 ათასი კაცისაგან შემდგარი არმია. ბრძოლებში მონაწილეობას ღებულობს რას დესტის არმიის მემარჯვენე ფრთა. ხარარიდან ჯარები იგზავნება ჯიჯიგაში — რას დესტის არმიის მემარცხენე ფრთის გასამაგრებლად.

„დეილი ექსპრესი" ადის-აბებიდან იტყობინება, რომ რას გუგსასთან ერთად გაქცეული ჯარისკაცების ჯგუფი უკან დაბრუნდა და მოიტანა ძვირფასი ინფორმაცია.

აბისინიის გენერლებმა, გაუწიეს რა ანგარიში იმას, რომ იტალიელები ემზადებიან მაკალეზე იერიშის მისატანად, მთელ ჯარსა და მოსახლეობას უბრძანეს დასტოვონ ქალაქი, დაანგრიონ ყველა ბინა, გამოზიდონ მთელი სურსათი და გააფუჭონ გზები

ინგლისის გაზეთების მთელი რიგი კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ ძალზე ხშირს მიმოსვლა იმ გზით, რომელიც ასმარას აერთებს ადიგრატთან. სააგენტო „ბრიტიშ იუნაიტედ პრესის" კორესპონდენტის სიტყვით, არაფერი გასაკვირი არ იქნება თუ ამ ერთადერთ გზაზე, რომლითაც ხწარმოებს გენერალ სანტინის კოლონების მომარაგება, ავტომობილთა კატასტროფისაგან გამოწვეული მსხვერპლი გადააჭარბებს ბრძოლებში დაღუპულთა და [illegible] რიცხვს.

„ტაიმსის" ცნობით, იტალიის თვითმფრინავებმა ტიგრეს პროვინციაში ჩაყარა პროკლამაციები: რას გუგსას შვილი ინიშნება იმ ტერიტორიის გუბერნატორად, რომელიც მდებარეობს მდინარე ტაკაზეს ხეობაში (ადს).

ჩინეთის წითელი არმია ხენანის პროვინციაში

შანხაი, 23 ოქტომბერი. „დაგუნბაოს" ცნობით, ჩინეთის წითელი არმიის დიდძალი ნაწილები გამოჩნდნენ სიუსა და პეინის რაიონებში (ხენანის პროვინციაში ქალაქ სინ-ხიანის სამხრეთ-დასავლეთით). ამ ნაწილებს განზრახული აქვთ შეუერთდნენ წითელი არმიის იმ ნაწილებს, რომლებიც შენსის პროვინციაში მოქმედებენ. (ადს).

მოძრაობა ხებეის პროვინციის „დამოუკიდებლობისათვის"

ტოკიო, 24 ოქტომბერი. სწორედ ისე, როგორც ამას წინასწარმეტყველებდნენ იაპონიის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები ჩრდილოეთ ჩინეთში, „სახალხო მოძრაობა" ხებეის პროვინციის „დამოუკიდებლობისათვის" სიანხეს მაზრიდან გადავიდა პროვინციის სხვა მაზრებში, კერძოდ, ჩანპინის მაზრაში, რომელიც დიპლომატიურ ზონაშია, აგრეთვე უცინის მაზრაში, რომელიც დიპლომატიური ზონის გარეთაა. „მოძრაობა ავტონომიისათვის",—იტყობინება სიმბუნ რენგოს ტიანძინელი კორესპონდენტი,—უკვე გადავიდა ხებეის მეზობელ პროვინციებში, მატადრე ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ რაიონში, ლანფინის რაიონში, ხენანის და შანდუნის პროვინციების საზღვარზე. სააგენტოს სიტყვით „ნანკინის ხელისუფლებას აუჯანყდა დაახლოებით 50 ათასი კაცი, რომლებმაც შეწყვიტეს მოძრაობა ლუნხაი-ტიანძინპუკოუს და ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის ხაზებზე. სააგენტოს სიტყვით, აჯანყებულნი გამოდიან ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგებით. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „აჯანყებულებმა სიანხეს მაზრაში უ ფუ-ტინის და ანხოუ-ცზაის (ბეიპინის სავაჭრო პალატის ყოფ. თავმჯდომარე) ხელმძღვანელობით გამოაცხადეს „სიანხეს მაზრის ავტონომია" და ანხოუ-ცზაი დანიშნეს „მაზრის დროებით უფროსად".

ხებეის პროვინციაში მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით, როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო იტყობინება, პროვინციალური მთავრობის თავმჯდომარეს გენერალ შან ჩჟენს პირველად უნდოდა ჩინეთის ჯარები შეეყვანა სიანხეს მაზრაში, მაგრამ ბოლოს ხელი აიღო ამ იდეაზე.

სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტის ცნობით, იაპონელი მეთვალყურეები „ფიქრობენ, რომ რამდენადაც მოძრაობა გამოწვეულია მოსახლეობის სურვილით მოიპოვოს ავტონომია, ამდენად მოძრაობის წინააღმდეგ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იარაღის გამოყენება მხოლოდ გაართულებს მდგომარეობას".

ყველა გაზეთი სწერს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩრდილოეთ ჩინეთის „ავტონომიის სახარგებლოდ" დაწყებულ მოძრაობას. სამინისტრო ფიქრობს, რომ თუ მოძრაობამ „გავლენა მოახდინა მშვიდობიანობასა და წესრიგზე დემილიტარიზებულ ზონაში" ან თუ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც „მანჯოუგოში წესრიგობის დარღვევის საფრთხეს" გამოიწვევს, იაპონია სათანადო ზომებს მიიღებს მშვიდობიანობისა და წესრიგის აღსადგენად იაპონია-ჩინეთის შეთანხმების მიხედვით, რომელიც ტანგუში დაიდო (ადს).

სანქციები იტალიის წინააღმდეგ

ვენა 23 ოქტომბერი. რუმინეთის სააგენტო „რადორი" იტყობინება, რომ მთავრობის დადგენილებით რუმინეთში უკვე ტარდება ერთა ლიგის გადაწყვეტილებები იტალიისათვის რუმინეთიდან იარაღისა და სამხედრო მასალის გაზიდვისა და მიწოდების, აგრეთვე გაზიდვისა და [illegible] აკრძალვის შესახებ. (ადს).

იტალია ბამბით მარაგდება

ლონდონი, 23 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო ალექსანდრიიდან იუწყება, რომ იქიდან იტალიაში ამ კვირას 10 ათასი შეკვრა ბამბა გაიგზავნა. სანქციების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, იტალია ცდილობს მოიმარაგოს ბამბა. ამჟამად ნავსადგურში ბამბით იტვირთება იტალიის 4 გემი (ადს).

გლეხთა აჯანყება ქეხეს პროვინციაში

ბეიპინი, 23 ოქტომბერი. „ბეიპინ იშიბაოს" ცნობით, 19 ოქტომბერს ქეხეს პროვინციის ჩრდილო-ნაწილში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ. ხმლითა და კეტებით ათასობით შეიარაღებულმა გლეხებმა გაანადგურეს საგადასახადო ბიურო. ღარიბები იჭრებიან მდიდრების სახლებში და არბევენ პროდუქტებს. იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯარი გაგზავნეს აჯანყების ჩასაქრობად. (ადს).

გ. გოგუაძე

საქ. განათლების სახკომისარიატის სასკოლო სამმართველოს უფროსი

ყურადღება დედა-ენის სწავლებას

შინაარსით სოციალისტური, ხოლო ფორმით ნაციონალური კულტურის შენებაში მშობლიურ ენას უდიდესი როლი აქვს დაკისრებული. მეფის რუსეთში დევნილი, ძალისა და „ბასურმანულებად" წოდებული ეროვნული ენების როლი პროლეტარიატის დიქტატურამ მშრომელთა მასებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შემუშავებისა და სოციალიზმის აშენების უდიდეს ამოცანათა სიმაღლეზე აიყვანა. საბჭოების ქვეყანაში სოციალისტური ცხოვრება და კულტურა 70 სხვადასხვა ენაზე შენდება.

მაგრამ მშობლიური ენის განსაკუთრებული მნიშვნელობა და როლი უდიდეს მოთხოვნილებას უყენებს მას: სოციალიზმის მშენებელთა ენა იმდენად მდიდარი, გამართული, წესიერი, მახვილი და მოქნილი უნდა იყოს, რომ სრულად უპასუხებდეს და ესაბამებოდეს მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების უდიდეს მიღწევებს და შემდგომი განვითარების ამოცანებს, სრულად ახორციელებდეს მასების სოციალისტური ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი იარაღის როლს, ზუსტად გამოსახავდეს სოციალიზმის მრავალმილიონიანი ლაშქრის აზრს, ემოციებს, გატაცებას, ერთსულოვნებას, ახალ ცხოვრებას, გამარჯვების უტეხ ნებისყოფას, გმირულ შრომასა და ბრძოლას.

პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის შენების შედარებით მოკლე პერიოდის მანძილზე ენა გამდიდრდა, გაშინაარსიანდა, დაზუსტდა, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების სიმაღლეზე ავიდა. თათქარიძეების, სპეკულანტების, მღვდელ-დიაკვნების, კრედიტ-მიკიტნების, მეშჩანების, დაბეჩავებული პეტრიელა-შარიკელებისა და მონამორჩილთა ენის ნაცვლად იქმნება ენა სოციალისტური რევოლუციისა, თავისუფლების, მარქსისტულ-ლენინური აზროვნების, სოციალიზმის ძლევამოსილი შეტევის, პროლეტარული სარდლობის, ახალი ყოფის, გამარჯვებული კოლექტივიზმის, გმირობის, დამკვრელური შრომის ენა. არსად და არასოდეს ენის მნიშვნელობა არ ყოფილა ისე დიდი, როგორიც ჩვენში — სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ენა მასების გათვითცნობიერებისა და ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს იარაღად არის გამოყენებული.

ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა ახალგაზრდობისა და მთელი მშრომელი მოსახლეობის შეიარაღება ზეპირი და წერილობითი ენის მაღალი კულტურით. მშობლიური ენის მაღალი კულტურა უნდა დამკვიდრდეს სკოლაში, თეატრში, წიგნებსა და გაზეთებში, ლექციაში, საუბარში, ჩვეულებრივ ლაპარაკში, ადამიანთა საქმიან ურთიერთობაში; მაგრამ სკოლა მთავარია. ენის მაღალი კულტურა პირველ რიგში სკოლამ უნდა დაამკვიდროს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მშობლიური ენის სწავლებას უეჭველი გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ „ძირითადი ნაკლი" ჯერ კიდევ ამ დარგშიც სუფევს, ენის წამება და დამახინჯება არ არის აღმოფხვრილი:

„ძალზე მეხათრება თქვენი მინდა რომ გთხოვო მაგრამ ძალაზე გაჭივრებული ვარ ჩავაბარე 6 საგანი და დამრჩა ერთი საგანი და მაქვს სუსტი ერთ საგანში ვიცი რომ ზაბუთებს დამიტოვალებენ არ მინდა რომ ერთი წელი გავაცდინო", — ასე სწერს არასრულ საშუალო სკოლაში „კურსდამთავრებული" ახალგაზრდა (სოლაურის არასრული საშუალო სკოლა (მახარაძის რ.). რა ისწავლა ამ მოწაფემ შვიდი წლის განმავლობაში, რა წაიკითხა მან. სად ჩანს აქ მასწავლებლის ცოდნა და მზრუნველი ხელი? „ჩვენს საყვარელ მხარეში, არ არის ისეთი სპეციალობა, რომელზედაც არ მუშაობდეს ქალი.. რასაკვირველია მარტო პედაგოგობა არ საზღვრავს ბავშვებ შორის მუშაობას", — სწერს მე-10 კლასის მოწაფე საგამოცდო სამუშაოში (ბორჯომის საშუალო სკოლა). „მიჩინმა, რომელმაც კვალი დასტოვა, მის გზაზე აღმოცენდა ინდუსტრიის კვალი — გაშენდა და განვითარდა სოც. მშენებლობა... 1906 წლიდან იწყობს უაღრესად განძვინვარებას რიაქცია.. იგი (მაშაშვილი) აპოლიგენტია (დამცველია) ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარის... ნ. ბარათაშვილის ცხოვრების დროს იყო ისეთი მდგომარეობა, რომ მას შეექმნა პესიმისტური განწყობილება: მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში ჩვენს ქვეყანაში კი შეუძლებელია. რადგანაც თანამედროვე საზოგადოება დამაკმაყოფილებელია.. ბარათაშვილის სევდიანობა მოცემულია მის ლექს „ფიქრი მტკვრის პირას" ამის შედეგია, რომ მტკვარი წინათ წარმოადგენდა მტიოალს" სწერს საგამოცდო სამუშაოში დუშეთის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოწაფე.

სრულიად აშკარაა, რომ ასეთი აზროვნებით და მეტყველებით ეს ახალგაზრდები ბევრს ვერაფერს გააკეთებენ უმაღლეს სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ აქ მოყვანილი ამონაწერები, უმწეო და მახინჯი აზრით, ენით და პუნქტუაციით, ქართული ენის მასწავლებლებს განუხილავთ, ყველაფერი დაუდასტურებიათ და ზოგი წარჩინებულადაც შეუფასებიათ. ვინ იცის, იქნებ აქ მასწავლებლის უყურადღებობასთან გვაქვს საქმე. ასეთ შემთხვევაში მდგომარეობა მაინც სანუგეშოა, რადგან **მცოდნე** მასწავლებელი, ხელმძღვანელობით და მტკიცე კონტროლით, საქმეს ადვილად გამოასწორებს.

მაგრამ საქმე მეტად რთულდება მაშინ, როდესაც თითონ მასწავლებელი უვიცია და სხვას ვერაფერს ასწავლის. ასეთი სამწუხარო შემთხვევები არც ისე იშვიათია: „გაცნობებთ, რომ ვიყავი წერაქვის 4-წლედის შკოლის გამგეთ 2 წელიწადი, რის შემდეგ ბორჩალოს განათლებას ვთხოვე გადამეყვანე რკინის გზის მახლობლად ვინაიდან ტფილისის დაუსწრებელ ინსტიტუტში ვირიცხები სტუდენტად, და საშუალება მქონოდა ტფილისთან ახლოს ვყოფილიყავი, რაზედაც ნება დამრთეს და გადმომიყვანეს სადახლოს შვიდ წლედში ქართული ენის მასწავლიბლად".

ასე წერს მასწავლებელი! ვაი იმ მოწავლეების ბრალი, რომლებიც ასეთი მასწავლებლების ხელში იყვნენ ან არიან.

„გაცნობებთ, რომ მე ვმუშავობდი [illegible] სკოლაში 33—34 სამოსწავლო წლიდან დღემდე ახლა კი განთავისუფლებული ვარ. იმ სკოლიდან ისე როგორც შეუფერებელი მე ვასწავლიდი მე სამე მეოთხე კლასიბში მათმატიკა, ქართული ენა. მე ხუთე კლასში გეოგრაფია და ლიტერატურა".

გერცენის გამოთქმით, ასეთი „ჩიტის ენით" წერს ალაიანის (კასპ. რ.) არასრული საშუალო სკოლის ყოფ. მასწავლებელი, რომელსაც უდიდეს გაუგებრობად და დანაშაულად მიაჩნია, რომ ის მოუმზადებლად და სკოლისათვის შეუფერებლად იცნეს.

უეჭველია, რომ ჩვენი პედტექნიკუმები უკანასკნელი წლების განმავლობაში უკეთ მუშაობენ და დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ხარისხი დღითი-დღე იზრდება; მაგრამ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობისაგან ჯერ კიდევ შორს ვართ. მეცნიერებათა საფუძვლებით (კერძოდ მშობლიურ ენაში), და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თეორიით და პრაქტიკით საიმედოდ შეიარაღებული, თავის საქმის მოყვარული და მაღალ-კულტურული მასწავლებლები — ასეთ კადრებს მოელის ჩვენი დაწყებითი სკოლა პედტექნიკუმებისაგან.

აზრის აბნეულობა, ულოგიკობა და ენის უსუსურობა იშვიათ გამონაკლისს არც ზემო საფეხურებზე შეადგენს — იმ საფეხურებზე, რომლებიც საშუალო სკოლისა და პედტექნიკუმების მასწავლებლებს ამზადებენ, აქაც მაგალითები:

„სურვილი სამსახურში წასვლის შესახებ მე აღვნიშნე ზესტაფონი მაგრამ ფაქტიურად თქვენს მიერ ვიქენი დანიშნული ქუთაისის განათლების განყოფილების განკარგულებაში რომლის სურვილი მე არ მქონდა, აქედან გამომდინარე ვთხოვთ დამნიშნოთ ზესტაფონის რაიონში დირექტორად", — წერს ქუთაისის პედინსტიტუტის კურსდამთავრებული.

ან კიდევ — იქიდანვე: „ვმასწავლებლობდი როგორც სრულ ისე არა სრულ საშუალო სკოლაში ახლა ოჯახური პირობების გამო გადმოვედი საცხოვრებლად აქ, გთხოვთ ომცეთ რწმუნებულ თქვენდამი რაიონის, შესაფერ სკოლაში, ქართული ენის გაკვეთილები".

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ქართულს ასწავლიან პედტექნიკუმებში და საშუალო სკოლაში ასეთი „სპეციალისტები". ამის შემდეგ არაფერი არის გასაკვირი. რომ პედტექნიკუმებიდან გამოსულმა ახალგაზრდა მასწავლებლებმა ხშირად არ იციან მშობლიური ენა.

ზოგჯერ სკოლების დირექტორებიც არ „სწყალობენ" მშობლიური ენის ელემენტარულ ცოდნას:

„საშუალო განათლება მივიღე ქ. ზესტაფონშივე, რაც დავასრულე 1925 წ. შევედი ტფ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში და დავამთავრე 1934 წლის იანვარში. და დანიშნული ვიქენი" და ა. შ. „მამა ამ ჟამად მუშაობს ზემოთ ხსენებულ სოფელში... ჩოხატაურის რაიონმა გამგზავნა სახელმწიფო უნივერსიტეტში. სადაც მივიღე... სამსახური დავიწყე ტფილისში... მუშაობდი ქუთაიში. არ მიმიღია არაოდეს ორგანიზაციული სასჯელი".

აშკარაა, რომ ამის დამწერთ ძლიერ ცოტა უსწავლიათ და ცოტა წაუკითხავთ, რაც წაუკითხავთ — სწორედ ისე, როგორც გოგოლის პეტრუშკა კითხულობდა.

ასეთი დირექტორები ვერ შესძლებენ ხელმძღვანელობას მშობლიური ენის დაყენებაში, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მუშაობის კონტროლსა და ინსპექციას.

პედტექნიკუმები და უმაღლეს სასწავლებლები ხშირად უსაყვედურებენ საშუალო სკოლიდან მოსულ ახალ სტუდენტებს და უწუნებენ მშობლიურ ენაში მომზადებას. საყვედური მართალია, მაგრამ ანდაზაც მართალია: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი": თუ სახ. უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი, ახლადგახსნილი სამასწავლებლო ინსტიტუტები და პედტექნიკუმები სკოლებს სუსტად მომზადებულ მასწავლებლებს მისცემენ, კონტინგენტსაც სუსტს მიიღებენ და პირიქით, — ამის შესახებ მართებულად სწერდა სახ. უნივერსიტეტის რექტორი ამხ. კ. ორაგველიძე თავის წერილში მისაღებ გამოცდათა შედეგების შესახებ. დაწყებითი და საშუალო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, როგორც სარკეში, პედაგოგიურმა სასწავლებლებმა, კრილოვის დარიგებისამებრ, პირველს რიგში თავისი საკუთარი სახე უნდა გამოიცნონ და „პეტრესკენ არ გაიშვირონ ხელი".

პედაგოგიური სასწავლებლები საუკეთესო ხელმძღვანელ-მასწავლებლებით უნდა იქნან უზრუნველყოფილი. მასწავლებელთა მასწავლებლობა მეტად პასუხსაგები საქმეა.

მშობლიური ენის საფუძვლების დაუფლება მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი მეტყველების კულტურით შეიარაღება სავალდებულო უნდა გახდეს ყველა პედაგოგისათვის, ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში — ეს აუცილებელი პირობაა ენის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების საქმეში. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსახკომის დადგენილებას იმის შესახებ, რომ მშობლიური ენის მინიმუმი სავალდებულოდ იქნას შეთვისებული ყველა საგნის მასწავლებელთა მიერ. რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა არც ერთი საგნის მასწავლებელი არ გამოუშვან, რომელსაც არ ეცოდინება მშობლიური ენა.

სკოლებში ენის მაღალი კულტურისათვის ბრძოლის დროს ერთწუთითაც არ უნდა შენელდეს ყურადღება ენის არც შინაარსზე და არც ფორმაზე, არც აზრზე და არც სიტყვაზე. ფორმალიზმმა გრამატიკაში, ფორმის მოწყვეტამ შინაარსისაგან — უდიდესი ზიანი მიაყენა სკოლებში ენის სწავლებას. შესასწავლ მოვლენათა შესახებ სწორ და ზუსტ წარმოდგენათა შემუშავება, აზრის სწორად და ზუსტად ჩამოყალიბება, აზრთა შორის მიმართების სწორად გარჩევა, ყოველი სიტყვის თავის ადგილზე და სწორად გამოყენება — ეს უნდა იქნას მიღწეული.

აზროვნებისა და მეტყველების საკითხები განუყრელად არის დაკავშირებული ურთიერთთან. ყოველი ახალი სიტყვა მოსწავლემ სწორად და მტკიცედ უნდა შეითვისოს მისი შინაარსის ზუსტად შეცნობასთან ერთად. — მაშინ აღარ მივიღებთ აღარც „ნერვიულ მდგომარეობას" და აღარც „აპოლიგენტობას". როცა რუსულად ან სხვა რომელიმე ენაზე ვლაპარაკობთ და ვწერთ — ამ შემთხვევაში ენის ცოდნის დონე საკმაო მაჩვენებელია იმის, თუ რა მომზადების პატრონია მთქმელი ან დამწერი. ქართული ენის მიმართ კი ჩვენი პრაქტიკა სხვაგვარია: აბნეულ-დაბნეული და „ჩიქორთული" ლაპარაკი და წერა არ არის მიჩნეული სათაკილოდ, დანაშაულად და მოუმზადებლობის მაჩვენებლად.

სკოლებში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება წერითი მეტყველების სწორ ჩვევათა შემუშავებას. მოსწავლეები, მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ცოტას წერენ და ისიც წინასწარ მოუმზადებლად, რასაც უამრავი შეცდომა მოჰყვება. მოსწავლეთა ნამუშევარს მასწავლებელი ხშირად არ ასწორებს ან, უკეთეს შემთხვევაში, ზერელედ გადაფურცლავს და ამით კმაყოფილდება. არ ექცევა ყურადღება წესიერს, გარკვეულს ლამაზსა და ფაქიზ დამწერლობას. ასეთი მდგომარეობა ძირფესვიანად და გადაჭრით უნდა მოვსპოთ.

ჩვენს ახალგაზრდობას საუკეთესო თვისებები ახასიათებს, მაგრამ წესიერი აზროვნება, წესიერი ზეპირი და წერილობითი მეტყველებაც აუცილებელია. სისტემატური წერითი ვარჯიშობის შემოღების საკითხი უმაღლესი სკოლების წინაშეც პრაქტიკულად უნდა დაისვას და დაჩქარებით გადაწყდეს. დღევანდელი მდგომარეობა უმ. სასწავლებლებში არ უზრუნველყოფს ენის მცოდნე მასწავლებელთა მომზადებას. საბჭოთა სკოლაში შინაარსიანი და ყოველმხრივ კულტურული რეჟიმი უნდა დავამკვიდროთ — საწერი ხელსაწყოები შემთხვევით როდი იქცა საქ. სახკომსაბჭოსა და ც. კ. ა. წ. 14 სექტემბრის ისტორიული დადგენილების საგნად.

მშობლიური ენის სუსტად დაყენებაში თვალსაჩინო ბრალი მიუძღვის იმ გარემოებას, რომ სასწავლო გეგმებში ენასა და ლიტერატურაზე გამოყოფილი დროის ბიუჯეტი გაუპიროვნებულია: გრამატიკა და წერითი ვარჯიშობა იშვიათად თუ მოაგონდებათ ხოლმე; მთელი დრო ლიტერატურული ნიმუშების „სოციოლოგიაზე" მიდის — ადგილზე თუ უადგილოდ სტერეოტიპულ „ფეოდალიზმის რღვევაზე", „კაპიტალიზმის შემოჭრაზე", „თემური წყობილების ნგრევაზე" და სხვ. არის ლაპარაკი. სასწავლო გეგმაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ლიტერატურის, მშობლიური ენისა და წერითი ვარჯიშობის დრო. საქ. სახკომსაბჭოსა და ც. კ. ა. წ. 3 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, უნდა განხორციელდეს სასტიკი კონტროლი და ინსპექტირება მშობლიურ ენაში სავალდებულო ცოდნა — ჩვევათა მტკიცედ შეთვისების უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად სკოლებში მთელი სისტემით უნდა იქნას მიღწეული ენობრივი გარემოცვის წესიერება, — განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წესიერსა და კულტურულ მეტყველებას გაკვეთილზე და გაკვეთილის გარეშე, კედლის გაზეთების, პლაკატების, ლოზუნგების, განცხადებათა და ყოველგვარ დოკუმენტის შინაარსობრივ და ენობრივ წესიერებას.

ენის კულტურის დაუფლების თვალსაზრისით სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აზრისა და ენის საუკეთესო ნიმუშების თხზულებათა სავალდებულო კითხვას ფართოდ, ყურადღებით და შეგნებულად დაყენებას — ასეთ თხზულებებად ვგულისხმობთ **მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის** შრომებს და სხვ.

ქართული ენის სწავლება სანიმუშოდ უნდა დავაყენოთ როგორც დაბალ და საშუალო სკოლებში, ისე ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სკოლებმა უნდა მოგვცენ ქართული ენის კულტურის დაუფლებული ადამიანები, რაც ესოდენ საჭიროა მთელი ფრონტით სოციალიზმის შენების დროს.

შრომის პროცესების მექანიზაცია ჩვენთვის წარმოადგენს იმ ახალს და გადამწყვეტ ძალას, ურომლისოდაც ვერ შევინარჩუნებთ ვერც ჩვენს ტემპებს, ვერც წარმოების ახალ მასშტაბებს

ი. სტალინი

ფართო გზა მასობრივ გამომგონებლობას!

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) გამომგონებლები: ი. შენგერი („საქართველოს ჩაი"), ნ. გიორგობიანი (აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა), ჩხაველაძე (საშაქარლამო მრეწველობა), ალი კაზბეკ ჯიჯავაძე (ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა), ინჟ. ტიტოვი, ი. მარდალეიშვილი ვ. შარკოვსკი, ინჟ. გრიგანოვი.

სოციალისტური მშენებლობის და მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივის უდიდესი ზრდის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასობრივ გამომგონებლობას, როგორც ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას მუშათა უშუალო მონაწილეობისას წარმოების სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში

(საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1930 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებიდან).

მნიშვნელოვანი გამოგონებანი ჩვენში

ჩვენში, საქართველოში, დიდად ნვითარდა გამომგონებლობა. ამმად საქართველოში მოიპოვებიან ეთი გამომგონებლები, რომელთა მოგონებები მსოფლიო მნიშვნელობისაა.

ინჟ. მელიამ გამოიგონა აგურის მრალად დაპრესვის აგრეგატი, რომელიც საკავშირო და ა.-კ. საკვლევი ინსტიტუტებმა და მთელმა რიგ

პროფ. ა. დიდებულიძე.

საექსპერტო კომისიებმა იცნეს, როგორც საუკეთესო მსოფლიო აგრეგატებს შორის. ამხ. მელია ამუშავებს აგრეთვე პატეფონს ისე, რომ მისი დაკვრა შეიძლება ავტომატურად განუწყვეტლივ 1 დღე... თი თვე და ა. შ. ამხ. მელია პატეფონზე 1 ფირფიტის ნაცვლად ამს 4 ფირფიტას; ერთი სიმღერის სრულების შემდეგ ავტომატურად დაიწყება მეორე სიმღერა, სიმღერის გაგრძელება შეიძლება განუსაზღვრელი დროით. ეს მეტად შენიშნავი გამოგონებაა.

მასვე ეკუთვნის რკინაბეტონის ყალიბოდ ამოყვანის გამოგონება. კინაბეტონის სამუშაოებისათვის. ჭირო აღარ იქნება ხეტყის მასაა. ინჟ. მელიას აქვს მრავალი სხვა იშვნელოვანი გამოგონებაც.

პროფ. ა. დიდებულიძემ მიაღწია ელექტრომექანიკური აპარატით წვიმის ხელოვნურად მოყვანას. არხების საშუალებით ნიადაგის მორწყვასთან შედარებით ასეთი წესით რწყვა იძლევა წყლის 3-ჯერ მეტ ეკონომიას. ეს აპარატი უკვე მზადდება და მას ახლო ხანში მასობრივად გამოუშვებს ხარკოვის „უკვესოტობმაში". პროფ. დიდებულიძეს ეკუთვნის აგრეთვე იზოთერმიული აკუმულატორის გამოგონება, რომელიც 75 პროცენტით ამცირებს სითბოს ხარჯვას სათბურების გათბობის დროს. მანვე გამოიგონა ელექტროტრაქტორი, რომლისთვის საწვავ მასალად გამოიყენა ელექტროენერგია.

ნ. გიორგობიანმა (აბრეშუმის ფაბრიკის მექანიკოსი) გამოიგონა მექანიკური თორნე ქართული პურის საცხობად, რომელიც წელიწადში იძლევა ნახევარ მილიონ მანეთის ეკონომიას. მანვე გამოიგონა უბატარიო ტელეფონი. ადამიანის ბგერის საშუალებით წარმოიშობა ელექტრონი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავილაპარაკოთ შორ მანძილზე ისე, რომ აკუმულატორები საჭირო არ იქნება. აღნიშნული გამოგონება ხორციელდება.

ი. ველიძემ (კალინინის ქარხანა) გამოიგონა ელექტროფუთიების ფსკერის საფხეკ-საზეხი ჩარხი, რომელიც იძლევა 19.920 მანეთის ეკონომიას წელიწადში. მასვე აქვს 7 რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ყველა ერთად გვაძლევს 37.000 მანეთის ეკონომიას.

ამხ. ბარშოვმა და აფონჩენკომ (26 კომუნარის ქარხნის მუშა კომკავშირელები) შემოიტანეს რაციონალიზატორული წინადადებანი ბარბაცა კბილანას მოწყობის შესახებ „შერერის" სისტემის მანქანაზე, ეს წინადადება შრომის ნაყოფიერებას ადიდებს 3-ჯერ. რაციონალიზატორებმა მიიღეს ჯილდო 1.200 მანეთი.

ამხ. ბეგი ბერიამ შეიტანა რაციონალიზატორული წინადადება პურის გამოცხობის დროს წარმომდგარი ორთქლისაგან სპირტის მიღების შესახებ. ამ ხაზით ნაყოფიერი ცდები უკვე სწარმოებს.

„უბრალო საქმე"

ელექტროდენთან შეერთებისას ლუზა ბრიახლასავით დატრიალდა, მასზე მიმაგრებულმა პატარა კბილანამ დიდი კბილანა აამოძრავა. დიდმა კბილანამ თავის მხრივ თვალი დაატრიალა და ტრამვაის ვაგონიც სრიალით დაიძრა.

რამ აამოძრავა ამოდენა სიმძიმე?

— ლუზამ, კბილანებმა და მათ მიერ აამოძრავებულმა თვლებმა. ვაგონს რომ ქვემოდან შემოხედოს კაცმა, მრავალ დეტალს დაინახავს. ამ დეტალებში ყველა მთავარია და ერთი მათგანიც რომ გაფუჭდეს, გატყდეს, ან დაზიანდეს ვაგონი აღარ ამოძრავდება. უფრო ხშირად ფუჭდება კბილანა, განსაკუთრებით დიდი კბილანა, რომელიც ვაგონის თვალთან არის მიდუღებული და მასთან ერთად ბრუნავს. დიდ კბილანას ხშირად უცვდება კბილები და ყოველი სამი-ოთხი თვის შემდეგ უვარგისი ხდება.

უკანასკნელ ხანებამდი ასე იყო: როცა ვაგონზე კბილანა მოცვდებოდა და მას დააყენებდნენ სარემონტოდ, გააკეთებდნენ ახალ კბილანას (რაც 300—400 მანეთი ჯდებოდა). ხელახლა ააწყობდნენ ვაგონის სამოძრაო მოწყობილობას და ვაგონი ისევ გავიდოდა ხაზზე სამუშაოდ. ერთი კვალიფიციური ზეინკალი ერთ კბილანას დამზადებას 8 დღეს უნდებოდა.

და, მრავალ სხვადასხვა გვარ საშუალებას ასახელებდნენ, მაგრამ ყველაზე მარტივი, სადა, უბრალო და ამავე დროს იოლად განსახორციელებელი წინადადება 45 წლის ზეინკალმა **ვალ. კოხრეიძემ** შემოიტანა. წინადადების შემოტანას როდი დაკმაყოფილდა კოხრეიძე. მან ფაქტის წინაშე დააყენა ტრამვაის სპეციალისტები: დაამზადა ორი სანიმუშო კბილანა.

კოხრეიძის წინადადების შინაარსი ასეთი იყო: როცა კბილანას კბილები გაუცვდება, სულ შემოვჭრათ გაცვეთილი კბილები, შემოვაკრათ კბილანას დისკოს სქელი ფოლადის ფერსო („ობოდი"), მივადუღოთ ეს ფერსო ელექტრონის საშუალებით დისკოს და ხელახლა ამოვჭრათ კბილები.

სანიმუშოდ დამზადებული კბილანებით შესცვალეს ვაგონიდან ახლად გამოღებული ძველი კბილანები. ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო. კოხრეიძის მიერ გაკეთებულმა კბილანამ ერთიორად მეტი ხნის იმუშავა, მის გაკეთებაზე ერთიორად ნაკლები დრო დაიხარჯა და თანხაც ერთიოთხად ნაკლები დასჭირდა. როცა სპეციალისტებმა შეამოწმეს ახალი კბილანას მდგომარეობა გამოირკვა, რომ ნაჭედი ფოლადი გაცილებით უფრო გამძლეა, ვიდრე სხმული.

ვაგონების გაცდენის შემცირებას (კბილანების დამზადებას ახლა 4 სამუშაო კაც-დღე უნდა, წინათ კი 8 დღე უნდოდა) და იმ ლითონის ღირებულებას, რომელიც წინათ იყრებოდა, როგორც უტილნედლეული, მაშინ მიღებული ეკონომია (14.000 მან.) ერთი ორად მეტი იქნება.

ვ. კოხრეიძესთან ერთად ტფილისის ტრამვაის მეურნეობაში, 200-მდე მუშა-გამომგონებელი და რაციონალიზატორი მუშაობს. ბევრ მათგანს მნიშვნელოვანი გამოგონებები და წინადადებები აქვს შემოტანილი.

60 წლის მუშამ ი. ჟუკოვსკიმ გამოიგონა რკინის ადგილობრივად გასახურებელი აპარატი. ვაგონზე რომ ლითონის რომელიმე ნაწილი გაფუჭდეს, საჭირო აღარ იქნება ვაგონის დარღვევა. შესაცვლელი ნაწილის შესაკეთებლად. აპარატის საშუალებით შეიძლება ლითონის ადგილობრივად გახურება და იქვე გამოჭედვა.

იმავე ჟუკოვსკიმ გამოიგონა ტრამვაის ვაგონების მექანიკურად სარეცხი ჩოთქი. ახლა თითო ვაგონის გარეცხვას უნდა 1 წუთი დრო. ხელით რეცხვისას კი ორ მრეცხავს 20 წუთის განმავლობაში უხდებოდა მუშაობა.

ტრამვაის ვაგონით მგზავრობისას ყველას უნახავს ხელისმოსაკიდი თასმები. ეს თასმები ხშირად ჭუჭყიანდება, რაც იწვევს სხვადასხვა ავადმყოფობის გავრცელების საშიშროებას. თვითეული ასეთი თასმის გაკეთება 2 მანეთი ჯდებოდა.

ძველმა ტრამვაელმა მუშებმა — **შ. ჯავახიშვილმა და ს. თურმანიძემ** წინადადება შემოიტანეს, რომ ტყავის ხელსაკიდები შეეცვალათ ხისაგან გამოთლილი ხელსაკიდებით. ეს უფრო იაფიც დაჯდებოდა და უფრო ჰიგიენურიც იქნებოდა. ამ ღონისძიების განხორციელებით ტრამვაის მეურნეობამ უკვე მოზოგა 5.000 მანეთზე მეტი.

ამხ. ხერგო ორკოშნელი, შაქრო პანკვეტაძე, მიცკევიჩი, მიხ. დანჩენკო და სხვები ტრამვაელ გამომგონებელთა მოწინავეები არიან. ყველა მათ მიმდინარე წლის განმავლობაში შემოტანილი აქვთ 140 წინადადება და რაციონალიზატორული გაუმჯობესება. აქედან განხორციელებულ გაუმჯობესებათა შედეგად უკვე მიღებულია 35.681 მანეთის ეკონომია.

დ. ლომთაძე

ამხ. იოსებაშვილი. (ტფილისის ტრამვაი) გააუმჯობესა სალიანდაგო ისრის ფრთების კონსტრუქცია. იძლევა 6.360 მანეთის წლიურ ეკონომიას.

ქ. განგია

საქ. გამომგონებელთა საზ-ბის ცენტრ. საბჭოს თავ-რის მოადგილე

ისტორიული თარიღი

დღეს 26 ოქტომბერს, სრულდება -5 წლისთავი საქ. კპ.(ბ) ც.კ-ის 1930 ის 26 ოქტომბრის ისტორიული დგენილებისა „მასობრივი გამომნებლობის შესახებ" და მე-5 ისთავი გამომგონებელთა საკავრო საზოგადოების მუშაობისა.

საქ. კპ(ბ) ც.კ-ის ამ დადგენილეს შესასრულებლად თავის დროზე მოიცა ახალი, სოციალისტური ნონი გამოგონებათა და ტექნიკური უმჯობესებათა შესახებ. ამ კანონ, უზრუნველჰყო გამომგონებლოსა და რაციონალიზაციის დამხმა სპეციალური ფონდების შექმნა. მოღებულ იქნა ინსტრუქცია გაგონებათა, ტექნიკურ და ორგანიციულ გაუმჯობესებათათვის ჯილის გაცემის შესახებ.

საბჭოთა კავშირში გამომგონებელი საწარმოს ყველაზე საპატიო გურად იქცა. გამომგონებლები ხდნენ უკეთესნი, მუშათა კლასის ვთეს მებრძოლთა შორის სახალ-სამეურნეო გეგმის გადაჭარბებით სრულებისათვის, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

საქ. კპ(ბ) ც.კ-ის ამ ისტორიული დგენილების შემდეგ საგამომგონებლო მოძრაობა ფართოდ განვითარ საქართველოში და მასში შემალ ავტონომიურ რესპუბლიკებაც—განსაკუთრებით აფხაზეთსა აჭარისტანში; ეს გამოიხატა გამომგონებელთა მასის — გამომგონებელთა საზოგადოების წევრთა უდის —ზრდაში (557 წევრი 1930-31 ისთავის, ხოლო 8.031—1934-35 ისათვის), აგრეთვე მუშათა წინადადებების საგრძნობლად გამრავლება 252—1930-31 წლისათვის), რა546 — 1934-35 წლისათვის), რაც რამდენიმე მილიონი მანეთის ონომია მოგვცა. 1930-31 წელს რობითი წლიური ეკონომიის 0.845 მანეთის ოდენობით, ხოლო 34-35 წლის პირველი ივლისისაის — 4.324.000 მანეთის ფაქტი ეკონომია. (აღებულია საშუა ცნობები 50 საწარმოს მიხედთ).

გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს შორის ბევრია წარჩინებული და დამსახურებული გამომნებელი. ისინი იძლევიან უდიდე მნიშვნელობის გამოგონებების რომატევადი კულტურების (ჩაი, თამბაქო და სხვ.) მექანიზაციის ნაწილისა, მძიმე მანქანათმშენებლობის, საშენ მასალათა დარგში და სხვ. ასეთია, მაგალითად, წინადადებანი ჩაის ხაზით—ამხ. მარდალეიშვილისა, შენგერისა, ტიტოვისა, გიგიბერიასი და სხვ. თამბაქოს ხაზით — კვირკველიასი, პოპოვისა, ნავთის ხაზით — გრიბანოვისა, ნ. გიორგობიანი და ე. ხუნდაძე, მძიმე მანქანათმშენებლობისა და აგურის მშრალად დაწნეხვის დარგში — ამხ. მელიასი და სხვ.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, გამომგონებელთა საზოგადოებამ დღიდან თავისი არსებობისა მთლიანად ვერ უზრუნველჰყო საქ. კპ(ბ) ცენ. კომიტეტის 1930 წ. 26 ოქტომბრის დადგენილების, რეალიზაცია აგრეთვე საქ. კპ(ბ) ცენ. კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის გადაწყვეტილების განხორციელება ქვანახშირის მრეწველობისა და ტრანსპორტის შესახებ და ვერ გამოიჩინა ჯეროვანი უნარი სამეურნეო ორგანოთა ხაზით გამოგონებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. გამომგონებელთა საზოგადოებამ, აგრეთვე გამოგონებისა და გაუმჯობესების რეალიზაციის საქმეში, ვერ შესძლო მაგარი, საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება და თავის საქმიანობაში იმ ტემპებისა და ხარისხისათვის მიღწევა, რომელსაც მოითხოვს მისგან ჩვენი თანამედროვე დიადი, სოციალისტური ეპოქა.

გამომგონებელთა საზოგადოების ორგანიზაციებმა აქამდე ვერ გარდაქმნეს თავისი მუშაობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად; ისინი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ძირეულ მუშაკთა კადრების გამოზრდას; ძირეული ორგანოები არ აწარმოებენ სისტემატიურ მუშაობას ფართო [illegible] აქტივთან, ადგილებზე გამომგონებელთა საზ-ბის ხელმძღვანელი მუშაკები იმდენად სუსტნი არიან, რომ ისინი ვერ ახორციელებენ ყოველდღიურ, კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას, ამიტომ არის, რომ მათ მუშაობას თვითდინებითი ხასიათი აქვს. ამის გამო ცოცხალმა ადამიანმა — გამომგონებელმა — ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა ჩვენს მუშაობაში მისი შესაფერი საპატიო ადგილი.

შემჩნეულია ფართო დემოკრატიის პრინციპების დარღვევაც, საზოგადოების ხელმძღვანელობის მდგომარეობა ხომ სულ აწეწილ-დაწეწილია. საწარმოთა უმრავლესობა არ ეწევა მუშათა გამოგონების საკითხების დაგეგმვას, მთელ რიგ საწარმოებში სუსტადაა დაყენებული ტექნიკური კონსულტაცია. ჯერ კიდევ მასობრივი ხასიათი აქვს შემოსულ წინადადებათა განხილვისა და აღრიცხვის დაგვიანებას; არ არსებობს წინადადებათა რეალიზაციის გეგმები და კონტროლი მათ დროულად დანერგვაზე, აგვიანებენ ჯილდოს გაცემას და ხშირად აჯილდოვებენ წახალისების წესით, ეგრეთწოდებული საქმიანი წინადადებისთვის (სამტრესტი, მიწსახკომი, ავტოსარემონტო ქარხანა, და სხვ.).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარტიისა და მთავრობის მიერ ქვანახშირის მრეწველობისა და ტრანსპორტის შესახებ 1933 წელს გამოტანილი დადგენილების უხეში დარღვევა; ეს გამოიხატა ყველა მუშის წინადადებების დანერგვის აკრძალვაში ტრესტთან შეუთანხმებლად (ტფილსოფლმრეწვი), აგრეთვე გამომგონებლობის ხაზით პასუხისმგებელ აღმასრულებელთა მიერ გაუქმებულ გამოგონებათა სარეალიზაციო ბიუროთა ფუნქციების მითვისებაში (26 კომუნარის სახელ. ქარხანა, ნავთსაბურღმანქანათა ქარხანა). გამომგონებელთა საზოგადოების ორგანიზაციებმა აქამდე ვერ უზრუნველჰყვეს გამომგონებელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა ნორმალური მომსახურება. საკმაო მუშაობას ვერ ეწევიან ყველაზე უფრო ნიჭიერ გამომგონებელთა გამოსამჟღავნებლად, რათა ამაღლებულ იქნას მათი კვალიფიკაცია სათანადო სასწავლებლებში, მეცნიერულ - საკვლევო ინსტიტუტებში გაგზავნით, გამოცდილების გაზიარებისათვის საწარმოო ექსკურსიების მოწყობით და სხვა.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ გამომგონებელთა საზოგადოებამ აქამდე ვერ გამოიჩინა საჭირო ენერგია საქ. კპ(ბ) ც.კ-ის 1930 წ. 26 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნული, სამეურნეო და პროფკავშირული მუშაკების მიერ მასობრივი გამომგონებლობის მნიშვნელობის შეუფასებლობის, ფაქტების აღმოსაფხვრელად; ჯერ ყველგან და ყველას როდი შეუგნია, რომ „მასობრივი გამომგონებლობის ორგანიზაცია და მისი გამოყენება უნდა გადაიქცეს სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს საქმედ". (საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის 1930 წ. 25 X დადგენილებიდან).

ახლანდელ ეტაპზე გამომგონებელთა საზოგადოების ყველა ორგანიზაციის, ყველა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს საქმის ისე დაყენება, რომ უზრუნველყოფილ იქნას საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის 1930 წ. 25-X-ის დადგენილების უპირველად განხორციელება, და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სათანადო გარდატეხის მოხდენას მთელს საგამომგონებლო მუშაობაში.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ტექნიკური რეკონსტრუქციის საკითხებზე გამოგონებათა და წინადადებათა რაც შეიძლება სწრაფად განხილვისა და გატარებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და, თვითღირებულების შემცირებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და, შრომატევადი კულტურების შემდგომი მექანიზაციისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის ვიქნებით რა მხედველობაში, რომ „მეცნიერულ ტექნიკური და საგამომგონებლო აზრი უნდა იქცეს მძლავრ იარაღად ახალი ტექნიკის დანერგვის, წარმოების ახალი სახეების ორგანიზაციის, ნედლეულისა და ენერგიის გამოყენების ახალი მეთოდების საქმეში" (საქ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობა).

საჭიროა ახლავე აღირიცხოთ ყველაზე უფრო სასარგებლო წინადადებები, გამოგონებანი და ტექნიკური გაუმჯობესებანი, რა დარგშიც უნდა შევხვდეს ისინი, სამეურნეო ორგანოებმა უნდა შეადგინონ მოკლე ვადაში რეალიზაციის გეგმები, ხოლო გამომგონებელთა საზოგადოებამ უნდა უზრუნველჰყოს საზოგადოებრივი კონტროლი მათ განხორციელებაზე.

საჭიროა საზოგადოებრივი აზრისა და მასების გულისწყრომის მობილიზაცია იმ ბიუროკრატების წინააღმდეგ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ახალი სოციალისტური ტექნიკის დანერგვას, მის ათვისებას, საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის აღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა დააწესონ ზედამხედველობა პარტიის და ხელისუფლების დირექტივების შესრულებისა და „მუშათა წინადადებათა რეალიზაციის საქმეში შეაფასონ გამომგონებლობის შესახებ დირექტივის შეუსრულებლობის შემთხვევა. როგორც ოპორტუნიზმის ერთერთი უხეში გამომჟღავნება პრაქტიკაში და დამნაშავეთა წინააღმდეგ გამოიყენონ მკაცრი სასჯელი სამსახურიდან მოხსნისა ან სამართალში მიცემამდე". (საქ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის 26 ოქტომბრის დადგენილებიდან).

პროფკავშირებმა, ინჟ.-ტექნ. ძალებმა, კომკავშირულმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაამახვილონ თავიანთი ყურადღება მუშათა გამომგონებლობისადმი, რათა იგი გახდეს ნამდვილად მასობრივი რათა თვითეულმა მუშამ შეისწავლოს და აითვისოს ტექნიკა, თავისი გულისყური წარმართოს საწარმოო ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და წარმოების ტექნიკის უმაღლეს საფეხურზე აყვანისაკენ.

სამეურნეო მუშაკებმა უნდა შექმნან ნამდვილად ხელსაყრელი პირობები გამომგონებელთა მუშაობისათვის, რათა გამომგონებლები ნაკლებ დროს ჰკარგავდნენ გამოგონებათა რეგისტრაციაში გატარებაზე და მეტ დროს საგამომგონებლო შემოქმედებას ანდომებდნენ.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის დაუღალავი მუშაობა უზრუნველყოფს მუშათა გამომგონებლობის განვითარების საქმეში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის — ამხ. **სტალინის** მითითებათა სავსებით განხორციელებას.

◆

ოთხი მათგანი

ხუთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ საძირკველი ჩაუყარა გამომგონებელთა საზოგადოებას და ამით მტკიცე გარკვეულ კალაპოტში ჩააყენა მუშათა გონებამახვილობის, გამჭრიახობის, ინიციატივის და თაოსნობის აზვირთებული მდინარე.

მას შემდეგ შეუჩერებლად სდის იგი და უხვად ანოყიერებს ნიადაგს ჩვენი სოციალისტური დაზგების ნაყოფიერებისა და ჩვენი საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის ზრდისათვის.

არცერთ ეპოქას, არცერთ ქვეყანას არ ჰყოლია გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ესოდენ მრავალრიცხოვანი ლაშქარი, როგორც სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას, დღეს მთელი ჩვენი ბოლშევიკური პრესა გამოიტანს თავის ფურცლებზე უმნიშვნელოვანესთ მათ შორის, აღწერს მათ ღვაწლს, გააცნობს მილიონებს მათ დიად გამოგონებათ. თავის დროზე მათი ბიოგრაფები დაამშვენებენ საბჭოთა გამომგონებლობის ისტორიას, სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნების მატიანეს.

მაგრამ არიან ჩუმი, უჩინარი ენტუზიასტებიც, რომელთა დამსახურება ისეთი არ არის, რომ ისტორია განსაკუთრებით შეჩერდეს მათზე, გამოჰყოს ისინი ათასებისგან. სწორედ მათი, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი, გულმოდგინე მუშაობა ჰქმნის დასაყრდენს იზოტოვებისა სტახანოვებისა, ბუსიგინებისათვის, რომელთაც ერთი დაკვრით, ერთი ძლიერი ბიძგით სოციალისტური შრომის მეთოდები აჰყავთ ახალ, უმაღლეს საფეხურზე.

ჩვენ აქ მხოლოდ ოთხ მათგანზე გვინდა ვილაპარაკოთ, მათი სახელი კი—ლეგიონია.

1

მუშაა, პატარა ტანის, ჭაღარა თმით. თვალები უთამაშებს და გაუპარსავი პირის კანი უციმციმებს, როცა ლაპარაკობს. უკვე პენსიაზეა, მაგრამ არ ფიქრობს დასტოვოს სამუშაო, მუშაობს ქარხანაში. ორგანიზატორია, რაციონალიზატორია, სიზანტის და ჩამორჩენილობის დაუღალავი მამხილებელია. მისგან ნათქვამი სიტყვა „სიზანტე"—ეს არის არა განყენებული, შორეული რაღაც სიზანტე. „სიზანტე"—ეს ყველაფერია, რაც მუშაობას აფერხებს. ეს ცოცხალი შეფერხებაა ცოცხალი საქმისა, და მას არ შეუძლია მასზე გულდამშვიდებით ილაპარაკოს.

— ზანტია,—იტყვის იგი და ზიზღით განზე გააფურთხებს.

იგი იბრძვის თვითღირებულების შემცირებისათვის. ჯიბეებში უწყვია საანგარიშო მოხსენებები, ჩანაწერები, გაანგარიშებანი. ბინად მიიღო სამი ოთახი, ცისფერი შპალერით გაკრული. ქალიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა. ვაჟი—ახოვანი აგებულობის, თავის ძალაში დარწმუნებული ყმაწვილი, სწავლობს.

მოხუცს თავის ხალოლში, ლეიბქვეშ შენახული აქვს საამქროს ნორმების და თანრიგების უწყება. როცა შინ არის, გამოიღებს და ანგარიშობს: წინათ ინკასისათვის ვიხდიდით 1 მან. 88 კაპ. ახლა რამდენს ვიხდით? ახლა—18 კაპიკს!

შემდეგ სწერს საგაზეთო შენიშვნას სიზანტის და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. „ვირისთავები, მამაძაღლები, იმის მაგივრად, რომ გააკეთონ ახალი სტანდარტი, ისევ ძველს ებღაუჭებიანო". „ვირისთავების" და „მამაძაღლების" ნაცვლად სწერს „ოპორტუნისტებს".

ქარხანაში მას კარგად იცნობენ. იციან, რომ თუ მან საკითხს ხელი მოჰკიდა, აუცილებლად გადასწყვეტს. ხშირად ამხანაგურ სასამართლოში იწვევს დირექტორს, მის მოადგილეს, ან რომელიმე ოსტატს. მისი საყვედურების უმაღლესი ფორმაა:

— რას შვრები, გინდა დაღუპო წარმოება? ზანტი, ხარ ზანტი!

მიდი-მოდის ქარხნის საამქროებში, როგორც ნამდვილი „ხაზეინი", მართლაც მას „ხაზეინად" თვლიან. და, როცა ვინმე საქმეს წესიერად ვერ აკეთებს, მუშები ერთმანეთს ჩაულაპარაკებენ:

— აბა, გამოასწორე, ჩქარა! ხაზეინი მოდის!

არასოდეს არ უფიქრია ოდესმე რაიმე ჯილდო, საჩუქარი მიეღო, მაგრამ ერთხელ მაინც მისცეს ლენინის პორტრეტი ჩარჩოში. დაკიდული აქვს სასადილო ოთახში. ხანდახან სტუმარს უჩვენებს.

— აი, პატივი დამდეს კალინინელებმა!

და იცინის ბებრული სიცილით. ეტყობა, ძალიან კმაყოფილია.

2

მუშაობდა საამქროში. დღეები დღეებს მისდევდნენ. საამქროს წინ ხვდებოდა სიძნელეები, მაგრამ შეჩვეული იყო მათ დაძლევას, უკანასკნელ ხანებში იმატა ხმაურმა ახალი დაზგებისაგან. როგორღაც საამქროში უფრო სერიოზული, დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. ხელების დაბანას ცვლის შემდეგ მეტი დრო უნდებოდა—კანში ზეთი უფრო ღრმად ჯდებოდა.

თვის დამლევს გამოირკვა, რომ დავალება მთლიანად შესრულებული არ იყო. სახეები დაღვრემილობამ მოიცვა, თვითეული მუშა თავს დამნაშავედ გრძნობდა. ხშირად თათბირობდნენ ბრიგადირებთ. გავიდა მძიმე ორი თვე.

იყო დღეები, როცა მას ეჩვენებოდა, რომ არ არიან კმაყოფილი მისი მუშაობით. მართლაც, იქნებ ვერ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა. არა, ამას ვერ უსაყვედურებს თავის თავს. მაშ რაზეა გაფუჭდა, დაიღალა? არა, დაზგაც წესიერად მუშაობს.

რა ქნას, რა ღონისძიებას მიმართოს, რომ გააორკეცოს, გაასამკეცოს პროდუქცია. იქნებ რამე მოუხერხდეს დაზგას ან ინსტრუმენტს?—ამაზე ფიქრობს დაზგასთან მდგარი და დაზგას მოშორებული, საამქროში და საამქროს გარეთ; დღისით, როცა მუშაობს, და ღამით, როცა ისვენებს.

და აი ერთ დღეს სახეგაბრწყინებული იწყებს მუშაობას. მოლოდინი მართლდება: დაზგა უმატებს ტემპს, იწყება შემობრუნება, როგორღაც მთელ საამქროში ყველაფერი ცოცხლდება, პროდუქცია მატულობს და იზრდება შეუჩერებლად.

რევოლუციური დღესასწაულია. ყველა დემონსტრაციაზე! მთელი ქალაქი ზეიმობს. ყვავილები, თვითმფრინავები. მუსიკა. კოლონები კოლონებზე. იგი არა ჩანს. ზღვა ხალხშია დაკარგული და გათქვეფილი.

დგას თავის ქარხნის მეახე, მეორახე, თუ მესამახე მწკრივში. კოლონა ნელა მიიწევს. იგი მშვიდად, აუღელვებლად დგას, როცა წინსვლა შეუძლებელია. დგანან ხან ათ, ხან თხუთმეტ, ხან ოც წუთს. ფერხული, ცეკვა. ცეკვავენ გოგოები, ცეკვავენ ბიჭები. ის არ ცეკვავს, რატომ? უხერხულად მიაჩნია, არ შეეფერება.

უცბად გრძნობს მხრებზე მაგარი ხელების ჩაჭიდებას. რა მოხდა? ასე უხეშად! რა ხულიგნობაა? თავშიაც სტაცებ ხელს. ეს რა საქციელია? ფეხებშიაც წაავლებ ხელს. ის ეცემა გულაღმა ვიღაცეების ხელებზე. ირგვლივ მომღიმარი სახეებია. ვიღაცას გაღებული პირი ყვირის „ვაშას", ვერ გამორკვეულა, გაბრუებულია!

და უცბად ათეული ხელის ძლიერი ბიძგისაგან ახტის ჰაერში, მიფრინავს ზევით ორი მეტრის სიმაღლეზე. ქუდი ძირს ვარდება. იგი ეცემა აშვერილ ხელებზე და ისევ მიფრენს უფრო მაღლა. ისევ ეცემა და ისევ მიფრენს „ვაშას" გამაყრუებელ ძახილში.

მას არწევენ. ვინ? ამხანაგები საამქროდან, ნუთუ მას ასე კარგად ეპყრობიან, ნუთუ მან დაიმსახურა ასეთი ყურადღება?

ბოლოს, თავაზიანად სვამენ მიწაზე, ქუდს ხელში აძლევენ, მხრებზე სიყვარულით ხელს ურტყამენ, მაგრამ ართმევენ ხელს კოლონა განაგრძობს გზას, ის ფეხქვეშ გრძნობს შემხუტებულ ნიადაგს. ღრმა სიხარული უვლის მთელ სხეულში.

მან იგრძნო და სამუდამოდ დაიხსოვდა კოლექტივის მიერ მისი შრომის გულწრფელი დაფასება.

3

ის მებაღეა. მუშაობს ციხისძირში ლიმონის პლანტაციაში. ველურ ლიმონზე ამყნობს კულტურულ ჯიშებს. სამუშაო საკმაოდ ძნელია. უნდა დაილუნოს ბუჩქების დონემდე. ბუჩქები მუხლის თავამდე სწვდებიან. ან მუხლებზე უნდა წამოიჩოქოს, ან უნდა მოუჯდეს და ასე შეუწყვეტლად გადავიდეს ბუჩქიდან ბუჩქზე.

ერთი საუკეთესო მუშაკთაგანია, დამკვრელი კომკავშირელი ჭანიშვილი. ორი ათას ნამყენს აკეთებს დღეში. წარმოუდგენელია, როგორ, რა გზით აღწევს ამას. თვალი გამჭრიახი აქვს, თითები მარდი, გაწაფული, მაგრამ ასეთი არიან სხვა მყნობელი მებაღეებიც. მაშ რაშია მისი წარმატების საიდუმლოება?

მას საქმე აქვს პაწაწა ტოტებთან, ნამცეცა ფოთლებთან. უნდა მოლუნოს ჩვილი, სათუთი შტო, გაჭრას, ჩასვას შიგ კულტურული სის ნაზი კვირტი, შეახვიოს და გათავდა ყველაფერი. მაგრამ საქმე, თურმე, ასე იოლი როდია. ამ ოპერაციის გაკეთება ყოველნაირად შეიძლება. ის კი ამ საქმით გატაცებული, რაღაც თავისებურად მუშაობს. ის ყოველ შტოში ხედავს განსაკუთრებულ, განუმეორებელ არსებას. აი ეს პაწაწა შტო მეტად ჩვილი, ნაზი რამ არის. ეს კი არ უნდა გაჭრა, ფრთხილად უნდა გასჩხვლიტო, მეორე შტო კი უფრო ღრმად უნდა გასჭრა, მესამე მსუბუქად, მეოთხე ნახევარში, წრედ, თვითეულს თავისებურად უნდა მიუდგე. ყოველი ფოთოლი ხორკლიანი, თუ უხორკლო, მისთვის თავისებურ ცოცხალ ინდივიდუალობას წარმოადგენს.

მუშაობის დროს ენტუზიასტ მებაღეს სახის გამომეტყველება ეცვლება, შტოები და ფოთლები მასში მრავალნაირ განცდას აღძრავენ ხოლმე: იგი ხან მზრუნველობით ჩაფიქრდება, ხან სიხარულის ან წუხილის იერი გადაურბენს.

მის წინ დედამიწა სუნთქავს თავისი დაუსრულებელი მხიარული სხვადასხვაობით, რადგან მან ისწავლა და სხვასაც ასწავლა დაანახვა დიადი მრავალფეროვნებისა, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებაშია.

4

მუშაობს კოლხიდის ჭაობების ამოსაშრობ სამუშაოებზე. ეზიდება საწვავს ექსკავატორებისათვის, რომელნიც არხებს თხრიან.

ექსკავატორებს ნიადაგიდან ამოაქვთ ათასწლოვანი სიდამპლე, აშმორებული ფესვების, ნატლების, კოლოების, ჭიების მანამდე შეუშფოთებელი ქვეყანა. იჭრება ფართო სწორი არხი, რომელშიც მოედინება მუდამ შმორიანი სიბინძურის, მუდმივი სინოტივისა და ავი ციებცხელების ბუდის მღვრიე ნაკადი.

ექსკავატორები გრუხუნითა და გრიალით უფრო და უფრო შორს მიიწევენ. მათ საწვავის მიწოდება სჭირდებათ. როგორ, რა გზით? ნავი აქ ვერ იმუშავებს, ცხენი ვერ გაივლის, თვითმფრინავისათვის დასაშვები ადგილი არ არის, ურმის თვალი აქ ნიადაგზე ფეხს ვერ მოიკიდებს.

მხოლოდ ადამიანს შეუძლია და ისიც დიდი ვაივაგლახით გზა გაიკვლიოს.

და ის მიიკვლევს გზას ჭაობში, საწვავით სავსე ავზით დატვირთული. როგორ დადის ის ამ გაუვალ ადგილებში? ხანდახან წინ ხეების შტოებს დაიგებს, ხან ტლაპოიან ჭაობში მარხილით მიათრევს საწვავს. ხშირად რეზინის ჩექმებით და სპეცოვკაში ჩაცმული წელამდე ჭაობში ჩაფლული ეძებს და ყოველთვის პოულობს დასაბჯენ ნიადაგს.

შეუცდომლად გვერდს უვლის ღრმა ადგილებს, საიდანაც თავის დაღწევა მოუხერხებელია. არასოდეს ხიფათში არ იგდებს თავს. მისი შავი თვალები იმზირებიან მშვიდად და ოდნავ გაკვირვებით. განსაკუთრებულ სიმტკიცეს და შეუპოვრობას არ ამჟღავნებენ არც მისი მხრები, არც ზურგი, არც სახის გამომეტყველება. არაფერი არ გამცემს ერთბაშად მის იშვიათ გამძლეობას, რკინის ნებისყოფას. საწვავის მიტანას არასოდეს არ აგვიანებს.

ერთი წელიწადია მუშაობს და მისი მიზეზით ერთხელაც არ შეჩერებულა ექსკავატორი.

იგი დამკვრელია. მას აქვს ნორმები. ხშირად გაუგებარია. როგორ შეიძლება დაწესდეს უცნობ გზებზე, გაუვალ ბილიკებზე სვლის ნორმები. მაგრამ ასეთი ნორმები არსებობს.

ერთ კრებაზე ინჟინერმა სთქვა: ამ [illegible] ჭაობიან, მოლიპულ გზაზე, რომლითაც იგი საწვავს ეზიდება, ერთი წლის შემდეგ გზატკეცილი იქნება გაყვანილი. მასზე გაივლის ავტომობილი. ხოლო გზატკეცილის ორივე მხარეზე აღიმართებიან პალმის ხეები.

გოგავასაც სჯერა, რომ უსათუოდ ასე იქნება, კმაყოფილებით უსმენს ინჟინერს და გაკვირვებით იღიმება.

ვ. ჯ.

რუსთაველის თეატრის მსახიობნი ზევიდან ქვევით. მ. ჩიხლაძე გ. ასიტაშვილი, გ. ბეჟუაშვილი, შ. აბესაძე, ივ. წულაძე, ვლ. დოლიძე ივ. ჯავახიშვილი.

ოქტომბრის ზეიმის წინ

**მუშათა კლუბის გახსნა.** ოქტომბრის დღესასწაულების აღსანიშნავად „საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კავშირი ხსნის მუშათა კლუბს, რომელიც დახურული იყო მთელი ზაფხულის გამავლობაში. შენობის გადაკეთება დამთავრებულია. კლუბში იქნება ორი დიდი დარბაზი და კაბინეტები სხვადასხვა წრეებისათვის.

კლუბის შენობის მოსაწყობად გადადებულია 72.000 მანეთი.

**ტრამვაის მეურნეობის დირექცია** საოქტომბრო დღესასწაულებისათვის ხსნის მუშათა სანიმუშო სასადილოს, სადაც ცალკე დარბაზი იქნება გამოყოფილი დამკვრელებისა და ფრიადოსნებისათვის.

დაიკვოლთა დასაჯილდოებლად გადადებულია 15.000 მანეთი.

**აბრეშუმის პირველი საქსოვი ფაბრიკის** ადმინისტრაციამ იკისრა ოქტომბრის ზეიმისათვის უფასოდ შეუკეთოს ბინები 20 ფრიადოსანს. გარდა ამისა, ადმინისტრაციამ შეიძინა შეშა 29 დამკვრელისათვის უფასოდ დასარიგებლად.

**26 კომუნარის სახელობის ქარხანაში** ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის აღსანიშნავად ხსნიან პარტიული მუშაობის კაბინეტს, მუშათა ბიბლიოთეკას და ტექნიკური კაბინეტს.

**სტრატოსტატის მოდელი.** ტფილისის აეროკლუბის სამოდელო სახელოსნო შეუდგა სტრატოსტატ — „ს.ს.რ.—1"-ის მოდელის დამზადებას.

მოდელს 7 ნოემბერს დემონსტრაციებზე გამოიტანენ ნორჩი მოდელისტები.

საკოლმეურნეო ბაზრობის ტვირთები გადაზიდვა საფოსტო ვაგონებით

საკოლმეურნეო და საოქტომბრო ბაზრობებზე საქონელბრუნვის გასადიდებლად და გასაადვილებლად ტფილისის რკინიგზის საფოსტო განყოფილება სურსათ-სანოვაგის ტვირთებს საფოსტო ვაგონებით ეზიდება. კოლმეურნეებს შეუძლიათ ტფილისში ბაზრობაზე გამოსაგზავნი ტვირთი უშუალოდ ჩააბარონ საფოსტო ვაგონს რკინიგზის ყველა სადგურზე. გამოსაგზავნად ჩაბარებულ ტვირთზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული მისამართი, აგრეთვე გამგზავნის გვარი და სახელი.

გამოგზავნილი ტვირთი ჩამბარებელმა ტფილისში უნდა მიიღოს სადგურ ტფილისის რკინიგზის საფოსტო განყოფილებაში.

ტვირთი გადაიზიდება რკინიგზის საბარგო ტარიფით.

კორესპონდენტთა თათბირი

29 ოქტომბერს დილის 12 საათზე „კომუნისტი"-ს რედაქციაში მოწვეულია „კომუნისტი"-ს საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი. თათბირს უნდა დაესწრონ: ამხ. **ლალიაშვილი** (ქუთაისი), **გეგენავა** (სენაკი), **ზარანდია** (ჩხოროწყუ), **ტაბიძე** (სამტრედია), **გვაზავა** (აბაშა), **ჩხაიძე**, **შამილაძე** (ბათომი), **ჟურაშვილი** (ცაგერი), **გვასალია** (ფოთი), **კოკილაშვილი** (თელავი), **ბეციაშვილი** (გურჯაანი) და **ლილუაშვილი** (ჯუღელი)

იხსნება რუსთაველის თეატრის სეზონი

რუსთაველის თეატრის მსახიობნი — მარცხნიდან მარჯვნივ: დ. მჟავია, ს. ჯაფარიძე, ელ. ლორთქიფანიძე, მ. აფხაიძე.

აკ. ვასაძე

რესპ. სახ. არტისტი, სამხ. ნაწ. გამგე და რეჟ. კოლეგიის თავმჯდომარე

მორიგ გამარჯვებათა სეზონი

რუსთაველის თეატრის ახალი ხელმძღვანელობა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ხსნის მომავალ სეზონის ფარდას.

ის ამოცანები, რომელიც დაგვისახა პარტიამ და ხელისუფლებამ თავის ისტორიულ დადგენილებაში, ქვაკუთხედი შეიქმნა მთელი კოლექტივისათვის. დირექციის, რეჟისურის, მსახიობთა და მუშა-მოსამსახურეთა თავდადებულმა და ბეჯითმა მუშაობამ სწრაფად გადალახა ყველა ობიექტური და სუბიექტური დაბრკოლება.

მიუხედავად მცირე დროისა, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო, რომ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ჩაგვეტარებინა ჩვენ შევძელით მტკიცე საშემოქმედო და საორგანიზაციო გეგმა ჩამოგვეყალიბებინა და გასულ წლებთან შედარებით წლევანდელ სეზონს, უკვე სათანადოდ მომზადებული ვხვდებით.

ახალი კადრების წამოწევის და დაწინაურების მიზნით, რუსთაველის თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ მთელი რიგი ახალგაზრდა მსახიობები დუბლიორებად დანიშნა მთავარ როლებზე როგორც განახლებულ, ისე ახალ დადგმებში. მაგ. „ინ ტირანოსში" კარლოსის როლში წელს გამოვა მსახ. **ელგ. ლორთქიფანიძე**, ამალიას როლში—**ბაქრაძე**, **ნ. ჯაჯანაშვილი**; შვაიცერის როლში — **დ. ხუციშვილი**; „ანზორში: ახმას როლს შეასრულებს ახალგაზრდა მსახიობი — **ივ. ჯავახიშვილი** და კაპიტანს — **ვ. დოლიძე**. „ნაბიჭვარში"—დაროს როლს შეასრულებს მსახ. **რუს. ბერიძე** და პილატეს—**ალ. კუპრაშვილი**.

გარდა დუბლიორებისა მთელი რიგი ახალგაზრდა მსახიობები დანიშნულნი არიან საპასუხისმგებლო როლებზე, ნაცვლად ძველი ხელმძღვანელობის პრაქტიკისა, როდესაც ახალგაზრდობის წარმოდგენების სახით „თეატრში თეატრს" ქმნიდნენ („საჭე მარცხნივ", „დუშმანი" და სხ.), ამით საზოგადოების წინაშე ახალგაზრდობას საბოდიშო მდგომარეობაში აყენებდნენ, რაც პასუხისმგებლობის უნარს უკარგავდა ახალგაზრდობასაც და საზოგადოებასაც.

მომავალი სათეატრო კადრების აღზრდის მიზნით უკვე მოხდა რუსთაველის თეატრთან არსებული დრამატული სტუდიის რეორგანიზაცია. წლევანდელი სეზონის გამოცდებმა კარგი შედეგი მოგვცა — 90 მსურველში მივიღეთ 26 ქალ-ვაჟი. 20 ოქტომბრიდან უკვე ყველა სექცია შეუდგა მუშაობას.

ხელ. დამსახურებულ მოღვ. კომპოზიტორ **ტუსკიას** ხელმძღვანელობით შესდგა რუსთაველის თეატრის ორკესტრი 34 კაცის შემადგენლობით. იგი შეივსო მაღალკვალიფიციური ძალებით. მუდმივი დირიჟორის **მ. ბორჩხაძის** გარდა ორკესტრიდან დაწინაურებულ იქნა დირიჟორის თანამდებობაზე **შ. ძიძიშვილი**.

გარდა ძველი რეპერტუარის განახლებისა, რეჟ. **შოთა აღსაბაძის** ხელმძღვანელობით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს „პლატონ კრეჩეტის" რეპეტიციები. ეს პიესა ამ სეზონის პირველ პრემიერად არის დანიშნული და წავა არა უგვიანეს ნოემბრის შუა რიცხვებისა.

რეჟ. პატარიძის ხელმძღვანელობით უკვე დასრულებულია **ს. კლდიაშვილის** „შემოდგომის აზნაურების" მონტაჟი და ახალი რედაქცია. ამ პიესის პარალელური რეპეტიციები სეზონის გახსნისას დაიწყება.

პირადად მე ვმუშაობ **ს. შანშიაშვილთან** ერთად „არსენას" მონტაჟზე, რომლის რეპეტიციებს დეკემბრის შუა რიცხვებში შევუდგები.

ახალი ხელმძღვანელობის ცდა და მიზანია თავის მხატვრული პროდუქცია საყვარელი და ხელმისაწვდომი გახადოს საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის და უზრუნველყოს რუსთაველის თეატრის განვითარება ახალ ეტაპზე.

ამ რწმენით და იმედით ვხსნით ახალი სეზონის ფარდას.

ჩვენი მისწრაფება

საქ. კომ. პარ. ც. კ-ის 13 სექტემბრის დადგენილებას რუსთაველის თეატრის მუშაობის გარდაქმნის შესახებ ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ვფიქრობთ, რომ მომავალ სეზონში ჩვენს წინაშე მეტად ძნელი, მაგრამ საინტერესო ამოცანა დგას. ეს არის ახალი, სოციალისტური ქვეყნის სპეციალისტის, მეცნიერული მუშაკის, მშრომელი ქალის და დედის განსახიერება სცენაზე. ამ ძნელი ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ჩვენი მსახიობური კულტურის მაღალ საფეხურზე აყვანა.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ჩვენი გულისტკივილი და მეგობრული საყვედური საბჭოთა დრამატურგების მიმართ: ყველა არსებულ პიესაში ქალების როლები მეტად მშრალი და სქემატური იყო. ბოლო ხანებში ამ ნაკლს მიაქცია ყურადღება ჩვენმა დრამატურგებმა, რის მაგალითიც არის კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", შკვარკინის „ნაბიჭვარი" და სხვ...

ქართველ დრამატურგების ჯერჯერობით ამის ცდაც კი არ მოუხდენიათ, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი ამ ნაკლს დასძლევენ, უფრო ახლო მოვლენ თეატრთან, მეტის დაკვირვებით შეისწავლიან ქალის როლს ახალ ცხოვრებისათვის ბრძოლაში და საინტერესო მასალას მოგვცემენ ჩვენი შემდგომი მუშაობისთვის.

იმედი გვაქვს, თეატრის ახალი ხელმძღვანელობა ხელს შეუწყობს მსახიობი ქალის მეობის გამოაშკარავებასა და განვითარებას.

რუსთაველის თეატრის მსახიობი ქალები:

ნ. ალექსი-მესხიშვილი, ეკ. კედია, ან. სანაძე, თ. ბაქრაძე, ნ. თულაშვილი, ე. დონელი, ნ. ლაფაჩი, რ. ბერიძე, თ. თუშიშვილი, მ. ჯაჯანაშვილი, ან. ვარდიაშვილი.

ახალგაზრდული გატაცებით

რუსთაველის თეატრი, პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელობით, ღირსეულად ჩადგა საბჭოთა მოწინავე თეატრების რიგში.

1935-36 წლის სეზონში მეტად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს კომპ. (ბ.) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს 13 სექტემბრის დადგენილება როგორც ახალ სამხატვრო ხელმძღვანელობას, ისე თეატრის მთელ კოლექტივს.

განსაკუთრებით პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ მომავალმა ახალგაზრდა კადრებმა, რუსთაველის თეატრის სტუდიაში აღზრდილებმა. რომლებიც უსათუოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ 13 სექტემბრის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

ჩვენ ახალგაზრდა მსახიობნი, მზად ვართ ვიმუშაოთ მთელი ახალგაზრდული გატაცებით.

გიორგი ასიტაშვილი დოლიძე, ივანე ჯავახიშვილი გ. ბეჟუაშვილი, მ. ჩიხლაძე. შალ. აბესაძე, ივ. წულაძე.

სომხური თეატრი სეზონის წინ

მიმდინარე წელს ტფილისის სახელმწიფო სომხურ აკადემიურ თეატრს გადაეცა ახალი შენობა ავლაბარში. ამჟამად მთავრდება შენობის უკანასკნელი სამშენებლო სამუშაოები და ნოემბერში ნაჩვენები იქნება დადგმები. შენობის მოცულობა 23.000 კუბომეტრს უდრის და დაიტევს 1.600 მაყურებელს, სცენა მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

აკადემიური თეატრი სეზონისათვის სამზადისს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 15 ივლისიდან შეუდგა. დასი შევსებული იქნა კვალიფიციური რეჟისორებით და მსახიობებით, ამასთანავე გაფართოვდა რეპერტუარი. თეატრის სამხატვრო ნაწილს განაგებს რეჟ. **სტეფანე ქაფანაკიანი**, მუსიკალურ ნაწილს **არ. ბაბალიანი**, თეატრის მთავარ მხატვრად მოწვეულია **სიმონიანი**.

მიმდინარე სეზონში გაშვებული იქნება რამდენიმე პრემიერა. პირველ რიგში პაგოდინის—„არისტოკრატები" და ჯანანის „შაჰ-ნამე". რეპერტუარში შეტანილია აგრეთვე გუცკოვის „ურიელ-აკოსტა" — ქაფანაკიანის თარგმანი, ცნობილი სომეხ მწერლის შირვან-ზადეს პიესა და სხვ.

განახლებული იქნება „ტფილისი" სუნდუკიანცისა, აგრეთვე „სხვისი ბავშვი", „უდანაშაულოდ დამნაშავენი", „ვერაგობა და სიყვარული".

ტფილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მომავალი სეზონი ყოველმხრივ საინტერესოა. უნდა ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წელს თეატრი გადამწყვეტ გამარჯვებას მოიპოვებს საამისოდ ყოველგვარი პირობები არსებობს.

სეზონის გახსნა განზრახულია ამ დღეებში წითელ არმიის სახლში, ხოლო ნოემბერში თეატრი ახალ შენობაში გადავა.

გ—ლი.

გარდაიცვალა პოეტი ვარლამ რუხაძე

23 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა პოეტი ვარლამ რუხაძე.

დამკრძალავი კომისია

პოეტ ვარლამ რუხაძის დაკრძალვის ხარჯები იკისრა საქ. სახალხო კომისართა საბჭომ. გამოყოფილია დამკრძალავი კომისია, რომელშიაც შედიან: პ. მ. საყვარელიძე (თავმჯდომარე), ს. თოდრია, ალ. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, დ. სულიაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ეული, პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, პლ. კეშელავა.

სომხური კულტურის ახალი სახლი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა ბრძანება — ტფილისში, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური სექციის შენობაში, სომხური კულტურის სახლის ორგანიზაციის შესახებ.

კულტურის ახალი სახლის ამოცანაა მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ორგანიზაცია. ღონისძიებების გატარება იმ მოსახლეობის კულტურული დონის ასამაღლებლად, რომელსაც სახლი გაუწევს მომსახურებას, მხატვრული მუშაობის ორგანიზაცია როგორც პროფესიულ, ისე თვითმოქმედი ხელოვნების დარგში. მასობრივი ლიტერატურული მუშაობა, საღამოების, კონცერტების გამართვა და სხვ.

განათლების სახალხო კომისარიატის მითითებით სახლთან უნდა მოეწყოს აგრეთვე მომღერალთა სახელმწიფო სომხური გუნდი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურული და თვითმოქმედი მხატვრული წრეები.

სომხური კულტურის სახლის გამგედ დაინიშნა ამხ. ს. ა. ღარიბოვი.

შემთხვევები

**დაჭრა.** ბზის მოედანზე ბ. პ. გასპაროვმა პირადი ანგარიშების ნიადაგზე დანით მძიმედ დასჭრა პ. პ. მორჩილაძე (ლენინის ქ. 1). დაჭრილი მოათავსეს საავადმყოფოში. გასპაროვი შეიპყრეს.

**უბედური შემთხვევა.** ტრამვაის პარკიდან გამომავალ მე-5 მარშრუტის ვაგონზე შეხტომა სცადა ამავე ვაგონის კონდუქტორმა ა. გ. რაზმაძემ, რომელიც კარების ვიწრო გამოსასვლელში ვაგონსა და კედელს შუა მოჰყვა. რაზმაძე გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

**გაუფრთხილებელი სვლა.** საბჭოს ქუჩაზე № 11—03 ავტომობილი დაეჯახა 5 წლის ბავშვს ო. ს. ტოროსოვს (საბჭოს ქ. 134) და დააშავა. შოფერი გიგაური პასუხისგებაში მისცეს.

**იშვიათი ხულიგნობა.** 23 ოქტომბერს მე-29 შრომის სკოლის შენობაში შეიკრა ხულიგნების ჯგუფი. ხულიგნებმა, სკოლაში მეცადინეობის მიუხედავად, ატეხეს ჩხუბი, შეურაცხყოფა მიაყენეს მასწავლებლებს და მოწაფეებს და ჩაშალეს ნორმალური მეცადინეობა. ხულიგნები: ვ. ი. კონიაშვილი (რუსთაველის ქ. 22), ხ. ა. სუკიასოვი (არსენალის მთა 1), შ. ტ. ტატუნაშვილი (თამარაშვილის ქ. 10), ს. ა. დარბინიანი (ბოჭორიშვილის ქ. 1), მ. დ. წეროშვილი (გრიშნოს შესახ. 1) და გ. ი. ბეროშვილი (ვლადიმირის ქ. 18) შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

ქრონიკა

— **27 ოქტომბერს** საღ. 7 საათზე, სახ. უნივერსიტეტის ნ. მარის სახელობის საენათმეცნიერო წრის სხდომაზე (აუდიტორია 44) ამხ. **შ. ჩხენკელი** გააკეთებს მოხსენებას თემაზე: **„ნიკო მარი და ქართული ნაციონალიზმი".**

რუსთაველის თეატრის მსახიობ ზევიდან — ქვევით: ალექსანდ მესხიშვილი, ეკ. კედია, შ. სან თ ბაქრაძე, ნ. თულაშვილი, ლაფაჩი, თ. თუშიშვილი, რ. ბე ძე მ. ჯაჯანაშვილი.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

დღეს მე-6 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა	27 ოქტ. მე 7 აბონემენტ. მე 2 წარმოდგენა	28 ოქტ. მე 3 აბონემენტ. მე 2 წარმოდგენა
ევგენი ონეგინი	კარმენ	რიგოლეტო

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვა, აგრეთვე გადასახდელის მიღება სწარმოებს ყოველდღიურად დილისით 11-დან 2 საათამდე, საღამოს 6 დან 9 საათამდე მიიღება მესამე მორიგი გადასახდელი ყველა აბონემენტზე.

„ოქტომბერი" 6-30. 8-30. 10-30

დამკვრელი სახ. [illegible] 6-30. 8. 9-30.

[illegible] 8-30. 10-30

რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30. [illegible], 9-30. 11

[illegible] 7-30. 9. 10-30

„ზ"-ის კლუბ. სახ. 7, 8-30, 10

კომინტერნი საზაფხ. [illegible] 7-30. 9-30

ხმოვანი ფილმი უკანასკნელი მასკარადი
დადგმა ორდენოსანი რეჟისორის მ. ჭიაურელ-სა.

საზამთ.—ხმოვ. სურათი [illegible]
საზაფხ.—ხატ. სურათი ზოგიერთი ნაცნობი

დადგმის მე 2 თვე ხმოვანი სურათი [illegible]

უკან. დღე ხმოვ. ფილმი მწყემსი და მეფე

მხატვრ. ფილმი ალიბი

საზამთ.—ხმოვ. ფილმი პეპო
საზაფხ.—ხმოვ. სურათი მდინარის გაღმა

ხმოვ. ფილმი უკანასკნელი მასკარადი

მოსამზადებელი კურსები

სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს. განცხადებები მიიღება 29 ნოემბრამდე დღე—საღ 6 ს. კალინინის ქ. № 51, რკ. გზ. მე 5 სკოლის შენობაში. 99 5

მოზრდილთა 1 საშ. სკოლა იღებს მოწაფეებს

მე-8, 9 და მე-10 კლასებში, საღამოს 7—11 საათამდე.

9967 დირექცია.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

დაიწყო მე-14 აბონემენტის გაყიდვა

მე-14 აბონემენტის 1-ლი წარმოდგენა 5 ნოემბერს პრემიერა **ტრუბადური**

მონაწილეობენ: ფატმა მუხტაროვა, ბეატრიჩე ვალაცი, დ. ანდღულაძე. ა. ამირანაშვილი.

დირიჟორი: პაულ პელა, დადგმა ბ. ა. ტალერისა.

თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა ა. [illegible] საქალაქო ხარაზთა ქარხანა, ახვლის ქუჩა № 6, რომელიც კონსერვირებული იყო [illegible], საბოლოოდ

ლიკვიდირებულია

იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები ლიკვიდირებულ მეწარმეობასთან, უნდა წარმოუდგინონ ლიკვიდკომს ერთი თვის ვადაში ე. ი. 1935 წლის 4 ნოემბრამდე შემდეგი მისამართით: ტფილისი, კიროვის ქ. № 1.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები განსახილველად აღარ მიიღება

405 ლიკვიდკომი.

გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობის სტამბა

ღებულობს მოწაფეებს

მოწაფეები მიიღება ორივე სქესის 18 წლამდე. პირობების გაგება სტამბის ადმინისტრაციასთან—კამოს ქ. № 68. რ

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი

სეზონის გახსნა

დღეს	27 ოქტომბერს	28 ოქტომბერს
მე-11 აბონ. 1 წარ.	მე-12 აბონ. 1 წარ.	1-ლი აბონ. 1 წარმ.
ფ. შილერი	ფ. შილერი	ფ. შილერი
n tirannos	in tirannos	in tirannos

ვისაც ფული გადაუხდელი [illegible] წარმოდგენაზე არ შეუშვებენ. სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

მუდმივი ადგილების ტალონების გაცემის ვადა გაგრძელებულია 25 ოქტომბრამდე. გაცემა თეატრის [illegible] საღამოს 6—10 საათ. სათანადო [illegible] ბარათით. 30

კიროვის რაისახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მირიანაშვილი იმით აცხადებს, რომ ა/წ 28 ოქტომბერს დღის 3 საათზე, სიონის ქ. № 13 და ბაირამოვის შესახვევი № 2,

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

არტელ „რეკორდის" [illegible] გაიყიდება ყავა, შაქარი, ზეთის გამოსახდელი მანქანა და მოტორი, ქონება შეფასებულია 17.201 მანეთად, საქვეყნო ვაჭრობის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. 9614

ტ. ს. უ. სტუდენტ დიპლომანტთა საყურადღებოდ

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამით აცხადებს, რომ უკანასკნელი (მეხუთე) კურსის სტუდენტებისათვის დიპლომის წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1936 წ. 1 იანვარი. ამ ვადის შემდეგ სადიპლომო შრომების მიღება და განხილვა აღარ მოხდება.

404 ტ ს უ რექტორი კ. ორაგველიძე

გაიხსნა [illegible] სასწავლებელში შემსვლელთა საკონკურსო გამოცდებისათვის

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები დაკარგულია, ჩაითვ. გაუქმებულად

[illegible] ტრესტის მთავარი მექანიკ. სახელზე ნომ. № 9916.

მეტრიკული მოწმობა ლევან დავითის ძე [illegible] სახელზე № 9929.

მეტრიკული მოწმობა [illegible] მთვრალაშვილის სახელზე № 9 68

პასპორტი—ივანე ალექსანდრეს ძე [illegible] სახელზე. უფ.

დაკარგულია [illegible] არტელ „[illegible]", [illegible] 1932 წ. 10 სექტემბერს. № 6 9 ... 110.6

თანახმად სატყეო კავშირის და არტელის წევრთა საერთო კრების დადგენილებისა ხდება არტელ „კომუნის"

ლიკვიდაცია

პრეტენზიები მიიღება ა/წ. 5 ნოემბრამდე, მაჩაბლის ქ. № 2.

11(01 ლიკვიდკომი

ერიკ და ნინა ბედია იუწყებიან საყვარელი ბიძის **მიხა კარანაძის** გარდაცვალებას. უფ.

ცოლი ჭოპო, შვილები: მამანტი, ბონდო ცოლშვილით, ქალიშვილები: პარასკევა შვილებით და ქმრით შალიკო რურუათი, ქსენია ქმრით შალვა კოპლატაძეთი იუწყებიან მამის **იულონ სართანიას** გარდაცვალებას. დასაფლავება 26 ოქტომბერს ს. ორქაში. 9990

მეუღლე ელო, შვილები: სერგო, ლეონიდე, ელენა, თამარი, რძალი ვერიჩკა; სიძეები: ალექსანდრე ლეჟავა, გოგი ფხაჭიაშვილი, გერონტი მუშკუდიანი, შვილიშვილებით იუწყებიან ალექსანდრე ივანეს-ძე **რატიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კონტათში 27 ოქტომბერს. 9986

მშობლები: თამარი, ლეო ვეფხვაძეები, ბებია-ბაბუა ელენე, სამსონი, დეიდები: მარო, იუდითი, ელიკო, ლიდა, ლილი, ანიკო ირემაძეები იუწყებიან **ლიას** გარდაცვალებას. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან დღეს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 9989

დამწუხრებული ცოლი ნინა, შვილები: სერგო, ანჯელინა, თინა, ნათელა, სიდედრი მართა, ცოლისძმები: ალექსანდრე და ემელიანე გორდაძეები იუწყებიან მათთვის საყვარელი **ალექსანდრე იოსების-ძე აბზიანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა გუბში 26 ოქტომბერს. 9985

მშობლები აგრაფინა, ვასილი შვილებით, ბებია მარიამი, ბიძა ანდრო, ბიძაშვილი თამარი, მამიდა ლუბა კაპანაძეები იუწყებიან საყვარელი **ოთარის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე ([illegible], ბროსსეს ქ. № 3) ვერის სასაფლაოზე. 9997

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მარუსია და ალიოშა ხუციაძეები პატარა ლილით იუწყებიან **ზაქარია ივანეს-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 ოქტომბერს, ქ. ზესტაფონში. 9991

უახლოესი მეგობრები: თამარ, ქეთო, ნუცა, სარა, ვახტანგ, ზურაბ წულუკიძეები, ოლია, ლადო გაგნიძეები, ეტრიკო მიქელაძე, ალიოშა გოცირიძე, მიშა მასხარაშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ **შალვა კახეთელიძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 1002

ეკატერინე ჩიჩუა შვილებით: ნინო, რუსუდან, დარეჯან, ოთარ და თინათინ იუწყებიან საყვარელი მაზლის და ბიძის **მიხა კარანაძის** გარდაცვალებას. უფ.

დამწუხრებული მშობლები ვანო და მარიკო ციბილაშვილები, ბაბუები: გიორგი ციბილაშვილი, ალექსანდრე და ელენა კოპაძეები შვილებით ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობრებს **პატარა ჭიჭიკოს** გარდაცვალებას. დაკრძალვა გურჯაანში 27 ოქტომბერს. 9998

დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრა, შვილები: ანატოლი, გიორგი, რძლები მერი, თამარ, შვილიშვილები ოთარ, ვახტანგ, თეიმურაზ იუწყებიან საყვარელ **თედორე გრიგოლის-ძე გაიდამაშჩუკის** გარდაცვალებას ქ. ბათომში. გამოსვენება 5 ს. შაუმიანის ქ. № 29, დღეს. 9999

დედა მელო, მამა ლავრენტი, ძმები: შალვა, ვახტანგი, ბიძინა, დები—თამარი, კატო, დარიკო, ვერა და თინა ჭანკოტაძეები იუწყებიან ძვირფასი **მარგარიტა ჭანკოტაძის** დაკარგვას. დასაფლავება ზესტაფონში 27 ოქტომბერს. 11015

დამწუხრებული დედა ვერა ივლიანე ჯაყელის ასული კელენჯერიძისა, ბიძა ლევანი, დეიდაშვილები: გუგა ადა და დათუნა იუწყებიან **პატარა ოთარ კაპანაძის** უდროოდ დაკარგვას. 11008

ბებია ანასტასია, ბიძები: ალექსანდრე კალისტრატე, რაჟდენ, გრიგოლ, დეიდა ანიკო, ბიძაშვილები: პლატონ, მარუსია, ფაცია ხურციძეები იუწყებიან **თამარ შინგელიას** უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა დაბა ვანში დღეს. 11009

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ანიჩკა, სანდრო, ბებია ოლინკა, ბიძები: გრიგოლ, მიხაკო, კირილე თავიანთი ოჯახით იუწყებიან **თამრიკო სანდროს ას. შინგელიას** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვანში დღეს. 11009

დამწუხრებული შვილები: ირაკლი, ელენე, რუსუდან, ძმა ისმაილ ცულუმელიძე, დები ქეთო, ელპიტე ქმარშვილით იუწყებიან ძვირფას **ვლადიმერ ილიას-ძე სულაქველიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ოქტომბერს სოფ. ცხრაწყაროში (ჯუღელის რაიონი). 11012

დამწუხრებული მშობლები: ვანო, თამარი, ბაბო, ნინო, ბიძები: ვასო და შალიკო მაზიაშვილები ცოლშვილით მწუხარებით იუწყებიან **თინიკო მაზიაშვილის** დაკარგვას, გამოსვენება 26 ოქტომბერს 5 ს. რიყის ქ. № 9. დაკრძალვა ტფილისში, კუკიის სასაფლაოზე. 9988

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი იუწყება რომ მოულოდნელად გარდაიცვალა პოეტი **ვარლამ რუხაძე** დაკრძალვა 27 ოქტომბერს. 11010

მეუღლე ნადია, შვილები: მადლენა, და ეანიკო (არჩილი) აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს **პოეტ ვარლამ რუხაძის** უეცრად გარდაცვალებას. 9987

და, ნინო, სიძე სამსონ, დისწულები: გრიშა ცოლშვილით, თამარ და მიშა მახათაძეები უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი პოეტი **ვარლამ ალექსის-ძე რუხაძე** 9993

კაკო ილარიონის-ძე, ლინა და გულიკო რუხაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი და დაუვიწყარი ბიძის, მწერლის **ვარლამ ალექსის-ძე რუხაძის** გარდაცვალებას. 11011

დამწუხრებული მეგობრები: სილიბისტრო თავართქილაძე, ასლან კალანდაძე, არკადი ხუნდაძე, ბართლომე კილაძე, ივანე ძიძიშვილი და მანჩო გოგუაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ პოეტ **ვარლამ რუხაძის** მოულოდნელად დაკარგვის გამო. 11007

ბიძა ილიკო, ბიცოლა მართა ივანოვები, მამიდა ანუშა, დისწული კონსტანტი, სიძე ვ. ფიოდოროვი იუწყებიან აჭარისტანის პედ. ინსტიტუტის დეკანის, ლექტორის **გრიგოლ ანდრიას-ძე ივანოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ბათომში 28 ოქტომბერს. 11004

სახ. ზოოვეტინსტიტუტის დირექცია და ადგილკომი მწუხარებით იუწყებიან ადგილკომის მდივნის [illegible] სულაქველიძის მამის **ვლადიმერ ილიას-ძე სულაქველიძის** გარდაცვალებას. დასაფლავება ს. ცხრაწყაროში (ჯუღელის რაიონი) ოქტომბრის 27-ს. 11013

მშობლები: ანიკო, ლადო, ბიძები: გიორგი, გიგა ბუდაგაშვილები; გრიგოლ, ვახტანგ გიორგობიანები, მამიდები: ანიკო, სონია, ბებიები: ნატალია, მარიამი, პაპა გაბრიელი იუწყებიან **პატარა ლადიკოს** დაკარგვას. გამოსვენება დღეს 4½ ს. საზღვრის ქ. № 30. 10000

ტფილისის მაუდის ფაბრიკის ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი მწუხარებით იუწყება ამხ. ლადო ბუდაგაშვილის შვილის **ლადუშის** გარდაცვალებას. 11003

ტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა. 10194